

დასავლეთკავკასიელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ხ პ ე ლ ო ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .



სატერაველორს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებელი კრება—არსებული ჰირდპირი, თხანსწორი, სეიფელთა, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის ჰირველსვე სხდომას, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სვესებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ერთგულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, საშუალებების 5 ს და 10 წ. თბილისში გაშვებულ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს

სატერაველორს დამოუკიდებლობის აქტი

„მათელ სვესეთა კანკალისში საქართველო აწესობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“
„შეიქმნებოდა სვესეთის დასაბრუნო კოდეზი შრი მტრისაგან შეფრთხილ საქართველო ფაისი სვესი შეფრთხილ რეჟიმის ამ სახითი. რამ რეჟიმი კლდეული იყო საქართველო კარგე ჰერსისგან დაცვა“
„სვესეთის დღი რეულოციის შედეგად რეჟიმი იხილი მანკათა წესობისა გეგნა, რამ შიდა სათბირი ფრთხილ დამოუკიდებელი და რეისი კარგი დაცვა მიუწევდა“
„რამდენ რა თვისი მადლობის ამარა, საქართველომ და მისთან ერთად მძირკვესამ იყო იღეს თავი საუთარი სვესეთის კანკალისა და პარტიისა და უსაფრთხო ორგანიზაციის მიერ კარგე მხარა ზეგეუდნო მიწურეკისის ერთი შეხვედრის შემდეგ დიდი დამოუკიდებლობის პოლიტიკური პოლიტიკის მიერ დამოუკიდებელი“
„ქართული ერის დიდი დამოუკიდებლობის უფლებად მითხოვს, რამ საქართველომ საუთარი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნის შიხი სახელმწიფო კარგე მხარა მიერ დამოუკიდებლობის აქტი კანკალისში და დამოუკიდებლობის აქტი“
„მისი თანხმად საქართველოს ერთგული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს აღიარებდა საქართველოს ერთგული კრების მიერ, დღეს აქვს“

- 1) მიერ საქართველოს ხალხი სურველ უფლებად მტრებელი და საქართველო სრულყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფოა
- 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—ფედერაციული რეჟიმი
- 3) სერობორის იმანისში საქართველო მუდმივი ნერვული სახელმწიფოა
- 4) საქართველოს ფედერაციული რეჟიმის სერობორის ერთობის ყველა წევრის ყოველწინდელი კანკალის დასაბრუნო, კანკალისობის და მისივე სახელმწიფოს და აქვს
- 5) საქართველოს ფედერაციული რეჟიმული თავისი სვესეთის თანხმად ერთგული უფლებად მტრებელი და პოლიტიკურ უფლებების კარგე დაცვა ერთგულების სარწმუნოების საყიდელ მდომარისა და სვესისა
- 6) საქართველოს ფედერაციული რეჟიმული კანკალის თანხმად მტრებელს კანკალის შიხი ტერიტორიის მისივე ყველა ერს
- 7) დამოუკიდებლობის ერთგული საბჭო, რომელიც მტრებელი იქნება ერთგული უფლებად მტრებელი საბჭოს წინაშე, რომელიც მტრებელი იქნება ერთგული უფლებად მტრებელი საბჭოს წინაშე

Handwritten signatures and names in Georgian script, including names like 'მ. შარვაშიანი', 'მ. შარვაშიანი', 'მ. შარვაშიანი', etc., arranged in columns.

ჩვენ დღესა.

განვლილი ათი წელი: სამი თავისუფლების და შვიდი მონობის, შლის ჩვენს თვალწინ შარავანდედით მოხილ საქართველოს, ქართველ ერის საქმეთ საგმიროთ.

თავისუფლების დროს ქართველმა ერმა აღადგინა ერთი საუკუნით შეწყვეტილი სახელმწიფოებრივი არსებობა. დაამკვიდრა თავისი ხელისუფლება, დასწერა კონსტიტუცია, მოიპოვა საერთაშორისო ცნობა.

მონობის დროს ქართველი ერი ხელიდან არ უშვებს თავის დროშას და ეწევა მის ქვეშ სამკვიდრ-სასიცოცხლო ბრძოლას. ვინ მისთვლის, რას არ იტანს ის, რამდენი მამულიშვილი არ დაჰკარგა, არ ჰკარგავს ყოველ დღე! მსხვერპლი, მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი—აი რას მოითხოვს მისგან უღმობელი მტერი, და ისიც განაგრძობს გაღებას.

დანთხული სისხლი, განცდანი წამებისა, ტყვეობისა, სამშობლოს მოშორებისა წაუშლელ კვალს სტოვებენ ქართველ ერის სულში. ის შეურიგებელია, შეუდრეკელი თავის გადაწყვეტილებაში, მისწრაფებაში. ის იყო უკვე სახელმწიფო, მამ ვერ დაუბრუნდება არარაობას.

საქართველო, ქართველი ერი დღეს არ წარმოადგენს უცნობ მოვლენას. მას იცნობენ, თანაუგრძობენ, კვირობენ მის თავდადებას, ეძებენ ახსნას მის გმირულ წარსულში. საქართველოს საკითხი სინი-დისის საკითხად არის მიჩნეული ევროპის საზოგადო აზრის მიერ.

არ არის ისეთი კითხვა, რომელიც ასე ცხადათ ხდიდეს პირბადეს საბჭოთა მთავრობას, ასე დაუზოგველათ ამხელდეს მის ვერაგ ორპირობას, როგორც საქართველოს კითხვა. არის ეს საერთაშორისო კონფერენციები, საპარლამენტო დებატები, თუ საარჩევნო კამპანიები, სადაც კი წამოყოფენ თავს მოსკოვის აგენტები, მათ მაშინვე პირში ახლიან სიტყვას «საქართველო» და ეს უკვე საკმარისია, რომ მათ საბუთებს და რწმუნებათ მაშინვე დაეკარგოს ყოველი ძალა და მნიშვნელობა.

საქართველოს აჩრდილი თან სდევს საბჭოთა მთავრობას, ამათ ცდილობს თავი დააღწიოს მას. ორი თარიღი: 7 მაისი 1920 წ.—მოსკოვის მიერ საქართველოს ცნობისა, და 11 თებერვალი 1921 წ.—იმვე მოსკოვის მიერ საქართველოზე თავდასხმისა, აღმოუფხვრელია ადამიანის ხსოვნიდან.

საბჭოთა მთავრობა გააფთრებით ებრძვის საქართველოს აჩრდილს. გენუიდან დაწყებული, გაგრძელებული ლოზანით და გათავებული პარიზით, ის ცდილობს საქართველოს წაშლას, მისი დროშის მოხსნას. მაგრამ ჯერ-ჯერობით თვით მისი დროშა მოხსნეს ლონდონში! პარიზშიც ლამის იგივე არ მოუვიდა მას და გადარჩა ელჩი რაკოვსკის გაძევებით. აპრილის არჩევნები უკეთეს ბედს არ უშნადებს მას საფრანგეთში. იგივე არჩევნები, 20 მაისს, გერმანიაში, წინააღმდეგ აშკარაა, უარეს პირობებს შექმნის მოსკოვისთვის.

საბჭოთა საერთაშორისო მდგომარეობა რადიკალურათ შეტრიალდა და შებრუნდება პირვანდელ ხანას. დიდი იმედები, დაკავშირებული, 1924 წ., ინგლის-იტალია-საფრანგეთის მიერ ცნობასთან, სამუდამოთ გაჰქრა, არაფერი დარჩა დიდი გეგმებიდანაც ჩინეთსა და ინდოეთში.

მიუხედავათ უწმაწურ ლანძღვისა, მოსკოვის კაცები კარზე ადგებიან ერთა ლიგას, რათა დაარწმუნონ 50 სახელმწიფო საბჭოთა «უმანკობეში». და ამაში კი ისედაც დარწმუნებული არიან, თუ გინდ საქართველოს მაგალითით! ორხელ ჰქონდა ერთა ლიგას საქართველოზე მსჯელობა და ორხელვე დადგენილება გამოიტანა, რომლითაც საქართველოს საკითხი შედის ლიგის შემდეგ მზრუნველობის სფეროში.

გარიყული საერთაშორისო ასპარეზზე და გარდაუვალ გაკოტრების კიდესთან მიმდგარი, სტალინის ამქარი უკანა პოზიციებისკენ იხვეს. ბრძოლა კერძო საკუთრებასთან შინ და იმპერიალისტებთან გარეთ—აი მისი დღევანდელი ლოზუნგი. სიმძიმის ცენტრი დიპლომატიიდან ისევ რევოლიუციურ პროპაგანდა-აგიტაციაზე გადადის.

შედეგიც არ აყოფებს. ევროპა ირახმება, არის აშკარა ნიშნები მისა, რომ სახელმწიფოები აწარმოებენ მოლაპარაკებას, თუ როგორ აღკვეთონ მოსკოვის დამრღვევი მუშაობა. ინტერვენცია უკვე წესრიგშია, მაგრამ არა სამხედრო, თუ მოსკოვმა თვითონ არ მოახვია იგი სხვებს თავზე, არამედ ეკონომიური, ფინანსიური...

ამ მიდრეკილებასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იჩენენ ევროპაში «კავშირში» მყოფ არა-რუს ერებისადმი. მოსკოვს ყნოსვა არ აკლია, ბოლთასა სცემს ამის გამო!

იწყება ახალი ხანა ძველი რუსეთისთვის უცნობ დიდ ეროვნულ მოძრაობათა. განათლებული მსოფლიო გარკვეულია იმაში, რომ საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენს მართლ ერთი ერის, რუსების, საუფლისწულო ტერიტორიას, რომ იქ ბინადრობენ სხვა ერებიც უფრო ძველი ცივილიზაციისა. თანდათან აშკარავდება ყველასათვის, რომ რეჟიმის დასაძლევათ საჭიროა, პირველ ყოვლისა, არა რუს ერთა მისწრაფებათა დაკმაყოფილება.

ქართველმა ერმა დროზე აულო ალლო ამ ისტორიულ პროცესს, გახდა შეგნებული ფაქტორი მასში და შესწევს გამბედაობაც იქცეს მის მედროშედ!

ამ რიგათ, ათი წლის თავზე, ჩვენ ვხედავთ საინტერესო სურათს: მაშინ როდესაც საბჭოთა დროშა იხრება თანდათან ძირს, ჩვენი დროშა იწევს მაღლა! ეს არ არის ოცნება, არამედ აუცილებელი დასკვნა, გამომდინარე დღევანდელ საგარეო და სამინაო ვითარების ჯეროვან დაფასებიდან.

გამხნელებული საუკეთესო პერსპექტივებით და გამსჭვალული მოახლოებულ გამარჯვების იმედებით, ჩვენ მივაპყრობთ თვალს, 26 მაისის ათი წლის თავზე, ჩვენს სანუგავარ სამშობლოს და შეეძახებთ: ვაშა საქართველო!



ათბელები

დღეს თავისუფალი საქართველოს დღესასწაულია, მისი დაბადების ათი წლის თავია.

ქართველმა ხალხმა პირველათ ამ დღეს იცნო თავის თავი ერთ მთლიან განუყოფელ ერთ, ქირში და ისტორიაში განუყოფელათ და ეს წაუშლელათ აღბეჭდა ისტორიაში.

ის იშვა რევოლიუციაში, განმტკიცდა დემოკრატიაში. მისი სული აქ ჩაიკირა, მისი სხეული აქ ჩაიქედა.

ერი თვალწილულათ შეხვდა ისტორიულ ქარიშხალს და გახდა მისი ხელმძღვანელი და ბატონი. მან აღვირი ასდო სტიქიას და გამოვიდა გამარჯვებული. ეს მისი საკუთარი ნამოღვაწეა, ეს მისი საკუთარი ზეიშია.

საქართველო შევიდა ახალ ისტორიაში დამოუკიდებელი, თავისავე სვე-ბედის თვითვე შემოქმედის თავის თავს ეკუთვნოდა სამ წელიწადს.

შემდეგ?

შემდეგ მოვიდა ბნელეთი, შავი ურდოები და დაეპატრონა თავისუფალ ქართველობას.

შვიდი წელია ქართველი ერი თავის თავს აღარ ეკუთვნის; ის გახდა სხვისი ისტორიის მასალათ. ვადამთიელის საჯიჯგნათ, მისი მიზნების საშუალებათ.

საქართველო ბორკილ დადებულია, მარა გატეხილი არ არის; მისი სული მიმალულია, მარა ჩამქრალი არ არის. მისი ნებისყოფა ტყვეთ ქმნილია, დამბლა დაცემული არ არის.

სამი წლის თავგანწირული ბრძოლა და თავისუფალი შემოქმედება ვერ წაიშლება; ის უკვდავია, სამარადისოა.

ბოლო? ერთათ-ერთია: მტარვალობის დათრგუნვა და თავისუფლების აღდგენა.

საშუალება? ქართველი ხალხის სიმტკიცე, მისი ურყევი გადაწყვეტილება იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი. ამ სალ კლდეს შეასქდება ყოველნაირი დაბრკოლება. მის წინაშე ქედს მოიხრის ისტორიის ბორბალი.

ხალხი მსურველი თავისუფლების იქნება თავისუფალი. ამ სამიღვამითა განაჩენს ვერ შეაჩერებს ვერავითარი მტარვალი.

როდის დადგება ეს ნეტარი წამი? ხვალ, ზეგ, როდის? ეს ვინ იცის, ისტორიის მსვლელობა ჩვენ ხელთ არ არის, ვიცი, რომ ეს უეჭველათ დადგება, ერის აღდგომა მოხდება, მტერი უფსკრულისაკენ მიექანება. ნუ ავჩქარდებით, რაც უფრო მძიმეთ ავდგებით, მით უფრო ის იქნება საფუძვლიანი.

და ჩვენ უცხოეთში გადახვეწილი და აქ ქართლის ბედისათვის მზრუნავნი ვატარებთ იქ, ერის გულში, ანთებულ ლამპარს და ვეუბნებით კაცობრიობის შარა-გზაზე მიმავალ ხალხებს: ქართველი ერი არ მოქანცულა, არ გატეხილა, ის მალე გვერდში ამოვიდგება...

ნ. ყორღანია.

წარსული... და მომავალი (Souvenir... et Avenir)

მაისი 1918 წ.

იმ დროს საქართველოს მხოლოდ სახელრთ ვიცნობდი: რამოდენიმე თქვენი თანამემამულე, მეფის საპრობილეტგან გამოქცეულნი და ენევაში შეხიზნულნი, მიამბობდნენ თქვენი ქვეყნის წარსულს; მომიტხობდნენ ისინი თქვენს ძველს ცივილიზაციაზე, ზამარ-მეფეზე და პოეტ რუსთაველზე, თქვენს ეპიურ ბრძოლებზე დიდ იმპერატორა წინააღმდეგ, რომლებიც რიგ-რიგობით იყრობდნენ საქართველოს, თქვენ მისწრაფებანე დამოუკიდებლობის დაბრუნებისაკენ. და ამიტომ განსაკუთრებული სიხარული მომგვარა ამბავმა, რომ ამიერიდან საქართველო თავისუფალი იქნებოდა, რომ ის სახელმწიფო შეიქნა, რომ მისი ხალხი ნაცია გახდა.

მაგრამ მაშინ 1918 წლის მაისში მე არ მქონდა საშუალება საკმარისი ყურადღება მიმეპყრო იმათვის, რომელნიც უკვე ჩემს მეგობრებათ მიმაჩნდნენ; მაშინ თქვენ იყავით ჩემთვის მეგობრები შორეული, გამოუცნობნი მხნე მთიელნი, ქედმოუხრელი გლეხები, მებრძოლი ინტელიგენტები; რომლებიც იღწოდნენ ძველ ქართულ სახელმწიფოს აღდგენისათვის კავკასიის ორ ბუმბერაზ ქედს შუა. უფრო საშური, უფრო უშუალო მოვალეობა მომიწოდებ-

და მე იმ ხანაში: ჯერ ბრძოლა კალმის საშუალებით იმ მომენტში, როცა, პიკარდიაზე გერმანიის დიდ შეტევის მეორე დღეს შვეიცარიის სანოვაციო უზრუნველყოფის საქმე უკიდურესად გაძნელდა; შემდეგ კი, ერთხელ კიდევ, ჩემ ბატალიონთან ერთად საზღვარზე გამგზავრება, საცა მე, იარაღქვეშ მყოფ ყველა სხვა ამხანაგებთან ერთად მომიწოდებდა ჰელვეციის მიწა-წყალის დაცვის საჭიროება. წმინდა მოვალეობა, რომლის თავიდან აცილებას მე არაფრის გულისთვის არ ვისურვებდი, ვინაიდან ქვეყანა, რომლის იარაღით დასაცავათ მხათ არ არიან მისი შვილნი, სიცოცხლის ღირსი არ არის.

ამგვარად მთელს მსოფლიოში მძინვარე ქარიშხალში შვეიცარიამ შეინარჩუნა, ხოლო საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა—ეს საუცხოვო მაგალითია, ძლევამოსილ მეზობლების მიერ გარემორტყმულ პატარა ერთა სიცოცხლის წყურვილის და ნებისყოფის.

ავგისტო 1920.

ამ ხანაში შეიქნა საქართველო ჩემი მეორე სამშობლო; ჩავედი თუ არა თბილისში ზაფხულის ერთ

ერთ იმ წარმტაც დღეს, როცა ცის დიად სიმშვიდეს არ არღვევს ღრუბლის ნატამალიც კი, მე გავემზადე ქართველი ხალხის სანახავად მისსავე კერაში, მთებში, სოფელად, ქალაქში და მალე მქონდა ბედნიერება მომემვლო თქვენი ქვეყანა ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე; ვინახულე მცხეთის საკვირველი ტაძარი. ვნახე ანანური და ფასანაური, გადავიარე ჯვარის მთა, ვინილე მყინვარი, დარიალის ყელი, საქართველოს უკიდურესი ჩრდილო საზღვარი ლარსის მახლობლად. შემდეგ გავემგზავრე ბაკურიანში, საცა ძმათა შარაშიძეების თანხლებით ვინახულე თქვენი მიწათმოქმედების მინისტრი, ბ. ხომერიკი, რომელიც შემდეგში სამწუხაროდ უნდა წამებულოყო სამშობლოსათვის. აბასთუმანში გავეცანი თქვენს მსცოვან პრეზიდენტს, ბ-ნ ჟორდანიას, და თქვენს მხნე შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. რამიშვილს, თქვენს წარჩინებულ დიპლომატს, ბ. ჩხენკელს... ქუთაისში ბ. თოფურაძემ შეძლება მომცა გავცნობოდი თვითმართველობის სხვა და სვა დარგების ახალ ორგანიზაციას, ბათუმში ვნახე როგორ შრომობდა სამოქალაქო მართველი ბ. ჩხიკვილი, რომელიც აგრეთვე მსხვერპლად შეეწირა თავის გატაცებულ პატრიოტიზმს—და სამხედრო გუბერნატორი, გენერალი მდივანი, რომელთ შეთანხმებული მუშაობა საუცხოვოდ ასახავდა ყველა ქართველების მისწრაფებას ახალი, თავისუფალი, ბედნიერი, თავისი დამოუკიდებლობის მოტრფიალე საქართველოს დამკვიდრებისათვის.

ვაი, რომ უკვე იმ დროს ბოლოშევიზმის აჩრდილი თავსდასტრიალებდა ქვეყანას. ჩრდილოეთის საზღვარზე საბჭოთა პოსტის დათვალიერებამ, რომელიც მღვრიე თერგის სივიწროვეს სდარაჯობდა, თქვენი გეოგრაფიული მდგომარეობის დაკვირვებამ და თქვენი წარსული თავგადასავალის გაცნობამ დამარწმუნა, რომ საქართველოს დიდი სიფათი მოელოდა... როგორ მსურდა, ცუდი წინასწარმეტყველი გამომდგარიყავი! მთელი ერთი თითქოს გაბრწყინებული იყო აღდგენილი თავისუფლებით დატკბობილი! ეკლესიებში მიეშურებოდენ სახელოვან წარსულის ერთგული მორწმუნენი! გლენი თავს ევლებოდა ყანას ქალაქში ქართველი მუშა ხალხისიანათ შრომობდა; დღესასწაულის დღეებში სახალხო ცეკვასა და სიმღერებში იხატებოდა საყოველთაო სიხარული. ყოველგან მოუსვენრად სჩქედდა სიცოცხლე, თითქოს ცხოველი, მასაზრდოებელი ძალა ფესვიდან იწევდა ზევით მაღლა, რომ აევსო და გაეფურჩქნა კვირტები, გაეშალა თვალწარმტაც ყვავილებათ და, ბოლოს, გამოეღო მრავალი და ტკბილი ნაყოფი!

და აი ამ დროს, ზამთრის სუსხში მოვიკლინათ ჩრდილოეთით საზარელი ქარიშხალი, რომელმაც დროებით მოსპო ყველა ეს იმედები...

მაისი 1928

მას შემდეგ გავიდა შვიდი წელი: შვიდი წელი ბრძოლის, გლოვის, მსხვერპლის. ცა კიდევ ჩამობნელებულია. მყინვარის ფერდობებზე შავი ღრუბლები ჩამოწოლილია, განთავისუფლების საათს

ჯერ არ ჩამოუკრავს, განსაცდელს არ გადაუვლია. ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ენევეამაც დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა. რევოლუციის ქარიშხალის მიერ შერყეულმა, შინაგანი ბრძოლით დასუსტებულმა მან ვერ გაუძლო ძლიერ მეზობლის შემოტევას, მოხდა მისი ანექსია. 18 მწუხარე წლის განმავლობაში ის გულის სიღრმეში ფარავდა თავის სახელოვან წარსულის მოგონებას და თავისუფალი მომავლის იმედს; მოთმინებით, მხურვალე რწმენით ელოდა ხელსაყრელ ყამს, და როცა დადგა ეს ყამი, ის არ მოერიდა არავითარ საშიშროებას თავისი დამოუკიდებლობის დასაბრუნებლათ.

ქართველთა, თქვენც დაამსხვრევთ ბორკილებს და აღსდგებით ახალი ცხოვრებისათვის. განვლილ საუკუნოებში ხომ ხშირად გრგებიათ წილათ ტანჯვა, ხშირად დაუპყრისხართ თქვენს მეზობლათ მობინადრე დიდ იმპერიებს, მაგრამ მუდამ გადაგიგდიათ უნხო უღელი და აღვიდგენიათ დამოუკიდებელი საქართველო! დღეს თქვენ იხდით მეთექვსმეტე საუკუნის თავს თქვენი უკანასკნელი განთავისუფლებისას. ჩემი მტკიცე იმედია, რომ მალე თქვენ ახალ სასახელო თარიღს შემატებთ თქვენს მატინანეს.

თქვენ დაიმკვიდრებთ თავისუფლებას, რადგან თქვენი პატრიოტიზმი ემყარება საუკუნოების ტრადიციების მტკიცე საფუძველს, რომელთაც თქვენს შორის განუწყვეტელი კავშირი შეუქმნია.

თქვენ დაიმკვიდრებთ თავისუფლებას, რადგან არ ეკუთვნით იმათ რიცხვს, ვისაც ბედის უკუღმა ტრიალი სტეხს.

თქვენ დაიმკვიდრებთ თავისუფლებას, რადგან ქართველთა ეროვნული გრძნობა დღეს უფრო მძაფრია, ვინემ ოდესმე ყოფილა.

თქვენ დაიმკვიდრებთ თავისუფლებას, რადგან თქვენ დაკისრებული გაქვთ დიადი ამოცანა კაცობრიობაში, კეთილშობილი მოწოდება: დაიცვათ თქვენი დამოუკიდებელი არსებობით პატარა ერების უფლება დიდთა შორის და ქრისტიანულ ცივილიზაციის უპირატესობა ჩამორჩინელთა და ბნელთა შორის.

თქვენ დაიმკვიდრებთ თავისუფლებას, რადგან აღჭურვილი ხართ ნებისყოფით—იყვნეთ თავისუფალნი ყოველივე ბორკილისაგან.

მღელვარებით, სიყვარულით თვალყურს ვადევნებთ ჩვენ თქვენს ბრძოლას, განვიცდით თქვენთან ერთად თქვენს გლოვას და თქვენს ტკივილს, და, დამედებულნი თქვენის შორეული და ახლო წარსულით, დიდებითა და თავისუფლებით რომ აღბეჭდილია, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მალე განვიცდით თქვენთან ერთად დახსნის სასიხარულო ყამს!

Jean Martin,
Président du Comité International
pour la Géorgie.

ქან მარტენი,
საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე.

ქართველ მეკონტებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავზე უგულითადეს სალამს მოგიძღვნით.

მე ვისურვებდი, რომ ეს თქვენი დღესასწაული ყოფილიყო უფრო რეალური, ვიდრე ის დღეს არის და პატარა და მამაც საქართველოს კვლავ ქონებოდეს დამოუკიდებლობა.

მე იმედ მაქვს, მოვა დრო, როცა საქართველო ხელახლათ აღადგენს თავის თავისუფლებას და სამხედრო დესპოტიზმის ფეხ-ქვეშ სათელავათ აღარ იქნება.

Ramsay Mac Donald.
რამსეი მაკდონალდი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა *)

ეს იყო... დიდი ხანია მას შემდეგ—თითქმის 30 წლის უკან...

გავემგზავრე გემით სოჭიდან ბათუმში და დაგვინავდი დღობერძის სრულსა და მოხდენილ პაწია სასახლეში.

რამოდენიმე დღის განმავლობაში საკუთარი ეტლით შემომატარა ქალაქი და გარემო-მდებარე ადგილები; მასთან ერთად ვინახულე, ჯერ კიდევ იმ დროს ახლად გაშენებული, ჩაის პლანტაციები და აგრეთვე, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, სამხრეთ-დასავლეთის ნაპირებზე ნავთის წყაროების აღმოსაჩენათ მიღებული ზომები.

გამართა წვეულება, რომელზედაც თავი მოიყარა ქართველ ინტელიგენციის მოზრდილმა ნაწილმა, განსაკუთრებით სამხედრო პირებმა და მოხელეებმა. მახსოვს კარგად, დამსწრეთა შორის განსაკუთრებული ჩემი ყურადღება მიიპყრო ახალგაზდა ცოლქმარმა, რომლებიც ენათესავებოდნენ დღობერძის ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ სრულებით შეუფერებლათ მეჩვენებოდა იმდროინდელი მათი მორთულება; საბერძნეთის ოლიმპიდან ჩამოსულ ორს ახალგაზრდა ღმერთს ემსგავსებოდა ორივე. განსაკუთრებით ქალი, რომელიც ქართული ტომის ლაზების ჩამომავალი უნდა ყოფილიყო, ირჩეოდა პაეროვნებით, ნაკვეთების სწორ-წყობით და ტანის შეუდარებელი მოხაზულობით.

ამასთანავე გავუმხილე დღობერძის, რომ ჩემს ოცნებას შეადგენდა—ახლო გავცნობოდი მთიელებს და სოფლებს. დაუყონებლივ შეასრულა ჩემი თხოვნა და თავის მამულის გამგის თანხლებით გამოსტუმრა კიათურაში თავის მამულში.

იქ ყოველდღე ჩემს განკარგულებაში იყო ცხენი და გზის მაჩვენებელი. რამოდენიმე კვირის განმავლობაში დავათვალიერე დიდი მამულები და სოფლები. ბევრი რამ ვნახე საყურადღებო: გავიცანი ქართველი გლეხები, შევდიოდი მათ ღარიბ ქოხში, ყველგან მიღებდნენ კეთილშობილური და რაინდული სტუმართ-მოყვარეობით. მაოცებდა ამ ამტან კლდეების არწივთა ზომიერება, სიმშვიდე, მიხვედრილობა, მოთმინება და შრომის მოყვარეობა, რომლებიც, ხშირად, საკუთარი ზურგით ზიდავენ თავიანთ ყანებში ზაფხულის ნიაღვრიდან გადაღეკილ ნაყოფიერ ნიადაგს.

*) უადგილობისა გამო ეს წერილი იბეჭდება მცირეოდენის გამოკლებით.

ვნახე მათი გაქანებით, ვნებით, თავანიანობით აღსავსე ცეკვა, მათი მრავალნაირი თამაში, რომელთა შორის უძველესი დროიდანვე იყო გავრცელებული, ევროპაში და ამერიკაში ახლად შემოღებული «რუგბი». ვისმენდი მათ მონაყოლ ამბებს ომებზე—სპარსელებთან, თათრებთან, თურქებთან... მივხედი თუ რატომ ასე აფასებდნენ ვაქაცობას და გამჭრელ იარაღს—ეს ევროპის კარების დარაჯები...

ერთ დღეს მოვხვდი საქართველოს პოეტის აკაკი წერეთლის სახლში. ქვით ანაგებ ორ-სართულიან სადგომ შენობას, თავისი ლამაზი შიგნითი აივანით, რომელიც აღმოსავლეთურ თაღებით შეკრულ ექვს სვეტზე იყო დაყრდნობილი, ქონდა რაღაც უშუქველესი იერი. შეიძლებადა მისი ადვილად დაცვა თავდასხმის დროს, ხოლო ვიწრო და ხვეული დერეფნები შიგნით საშუალებას იძლეოდნენ მტრისთვის თავზე ხელაღებულ წინააღმდეგობის გასაწევად—აღების შემდეგაც კი. სახლი დიდი გემოვნებით იყო მოწყობილი და მორთული, მაგრამ გადაუქარბებლად. თვალყურს გართმევდათ კედლის ფარდაგული ბოლჩები, ზედ დაკიდებული იარაღი, მონარატებული სპარსული მაგიდები. ერთს ასეთ მაგიდაზე იდგა მშვენივრად გამოცემული «შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი». პირველად ვნახე ასეთი გულდაგული და ლამაზად დასურათებული გამოცემა.

თავის თავად ცხადია, ვიყავი დაპატიჟებული სადილზე, რომელსაც დაესწრენ არა მარტო შინა-ყოფნი, არამედ მოსული მეზობლებიც. აქ, პირველად დავლიე ნამდვილი კახური ღვინო, რომელიც სრულებით არ იშოვება სასყიდლად, ვინაიდან მთელი მისი მოხავალი მიდიოდა მეფის სასახლეში, დიდგვარიანთა და დიდ მოხელეების მარნებში, ან რჩებოდა მარნების მდიდარ მეპატრონეთა ქვევრებში. ამ ღვინომ დასტოვა ბაგეზე და ყელში ისეთი გემო—თითქოს უეცრად თბილი და სურნელი აქსამიტი გადაეყლაპათ.

სადილს შემდეგ, ყავის დროს დარბაისელ მასპინძელთან გაიმართა საყურადღებო მუსაიფი, რომელიც დღევანდლად მისი მახსოვს და რომელსაც დღევანდელი ბედის მიხედვით, ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. პოეტმა აკაკი წერეთელმა იცოდა, რომ მე პოლონელი ვიყავი, რომ ვიყავი «რუსკოე ბოგატსტვო»-ს, «რუსკია ვედომოსტი»-ს თანამშრომელი, და რომ ვეკუთვნოდი კაროლენკოს და ნ. კ. მიხაილევსკის ახლობელ მეგობართა ჯგუფს. ამისათვის ჩემთან გულ-ღია იყო, სჩიოდა რუსული

ხელისუფლების მიერ საქართველოს შევიწროებაზე და გაყვლედაზე, ქართველებსა და სომხებს შუა განზრახ გაღვივებულ და გაღიზიანებულ უთანხმოებაზე, აგრეთვე უთითებდა, თუ როგორ ცდილობდნენ გადაეკიდებიათ ერთი მეორეზე ქართული ტომებიც კი. ყველაფერი კარგად ვიცოდი ეს პოლონეთის მაგალითით და ეს უთხარი პეტს.

— მართალია. მაგრამ თქვენ დაგიპყრეს და ჩვენ ნებაყოფლობით შეუერთდით რუსეთის სახელმწიფოს და შეერთების აქტში გვქონდა უზრუნველყოფილი ძალიან დიდი თავისუფლება...

— ჩვენც გვქონდა უზრუნველყოფილი თავისუფლება, რომლიდანაც აღარაფერი დარჩა...— ვუპასუხე.

— რა გამოსავალია აქედან?.. ერთად ერთი ნუგეში დამყარებულია რუსეთში პუბლიცისტურ და პოლიტიკური საერთო დონეს აწევანე... ბოლოს და ბოლოს, ოდესმე რუსეთშიაც შეიცვლება წესწყობილება, მოვა კონსტიტუცია.

— ჩვენ ის არაფერს მოგვიტანს; ან და ძალიან ცოტას. მთელი ჩვენი ნუგეში საკუთარ ძალების დარჩენაშია...

გამიბართა მწვავე კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს იქ დამსწრებმა.

საქართველოს სიმდიდრე.

(რისთვის დაიპყრო რუსეთმა საქართველო)

ძნელია მოიძებნოს ქვეყანა ისე მდიდარი, როგორც საქართველოა. მიწა ნოყიერი, ჰავა სასიამოვნო, ვენახი, წყლები, ტყეები, მადნეულობა, — ყველაფერი ბლომადა აქვს ამ კავკასიის მხარეს. მიუხედავად ამისა, ამ უმად ხალხი იქ იტანჯება საშინელ სიღარიბეში. რითი აიხსნება ეს წინააღმდეგობა? მოქმედა და ჩივილი ქართველი ხალხის, მიუხედავად სიმორის და ყოველნაირ სიძნელისა, მაინც მოდის და ახწვეს ვერძის პრესამდე.

საქმეც იმაშია, რომ სიმდიდრე პატარა ერთსათვის ხშირად მიწეწია მისი უბედურების. სწორედ ამ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად ცარისტულ რუსეთმა დაუმორჩილა საქართველო იმ საშინელ რეჟიმს, რომელიც აგემა სხვა ერებსაც რომანოვების მთავრობამ. როცა რევოლიუციამ დაამხო ცარიზმი, ამ დამონებულ ერებს იმედი მიეცათ თავისუფალ ცხოვრებისა. საქართველომ ისარგებლა ამ მომენტით. მას დაუბრუნდნენ ბევრი მეცნიერი და ტექნიკოსები, მისი შვილები, შეუდგა ცხოვრების განახლებას და თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობის განმტკიცებას.

მაგრამ საქართველოს სიმდიდრეს სოვეტური რუსეთისათვის ჰქონდა იგივე მიზიდველობა, როგორც უწინ ცარისტულ რუსეთისათვის. დღეს სოვეტურ რუსეთს უპირავს ისევ საქართველოს ტერიტორია. ეს უეჭველად ახალი ილლუსტრაცია გახლავს იმისა, თუ როგორ ესმის ბოლშევიკურ რუსეთს პრაქტიკული განხორციელება

ვანვითარები შეხედულებას, რომელიც ეყრდნობა საკუთარ ძალების დარჩენას და თავისი ხალხის უფლებისთვის ბრძოლით კაცობრიობის გასწორებას, — პროგრამას, რომელსაც უკვე იმ დროს აცხადებდა და ანხორციელებდა იუზეფ პილსუდსკი. პოეტი წერეთელი უფრო ყურადღებას აქცევდა პუბლიცისტურ ლოზუნგებს და პროგრამებს, რომელსაც აცხადებდნენ რუსეთის რადიკალური პარტიები.

ვერ შევძელით ერთი მეორე დაგვეწმენება.

— ღმერთმა ქნას, რომ შემძლებოდეს და მენახოს, როგორც თავისუფალ პოლონელს — თავისუფალი საქართველო!.. წარმოვსთქვი დარბაისელ მასპინძელთან გამოსალმების დროს წამოსვლისას.

— გმადლობთ!.. იყო პასუხი.

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებითაც გავებაასეთ ერთმანეთს სიცოცხლეში.

მეტი აღარ შევხედვარივარ პოეტ წერეთელს.

მაგრამ მაქვს იმედი, რომ ჯერ კიდევ სიკვდილის წინ მე, თავისუფალი პოლონელი, ვინახულე თავისუფალ საქართველოს...

გწყალობდესთ ღმერთი, ლამაზის და განაწამებ საქართველოს რაინდებო!

ვაგლავ საერთოებსკი.

ერთა თავისუფალ წივთგამორკვევის უფლებისა.

საქართველო შეიცავს 69.525 ოთხკუთხ კილომეტრს და იქ მცხოვრებ ხალხის რიცხვი უდრის 2.642.000 სულს. თანახმად სოვეტურ სტატისტიკისა, ოთხი მეხუთედი ამ ხალხისა ცხოვრობს ქალაქების გარე. ქვეყანა მდებარეობს ჩრდილოეთის სივანის 40 და 45 გრადუს შუა და მისი ჰავა ისეთივე სასიამოვნოა, როგორც ბოლგარის კუნძულზე, ნეაპოლში ან ბლფორში. მან არ იცის ზამთრის სუსხი. მის ნოყიერ მიწაზე იშლება მდიდრად მცენარეულობა, ბამბა, თამბაქო, ჩაი მოყავთ ბათუმის ახლომახლო. მოდის თითქმის ყოველნაირი სორბლეულობა (63.000 ჰექტარი ომის წინ), ზეთის ხილი, თამბაქო (132.000 ჰექტარი) შეადგენენ საქართველოსთვის დიდ შემოსავლის წყაროს. აბრეშუმის ჭია იძლევა 2.000 ტონამდე პარკს. ჩაის მოსავალი იყო 1915 წელს დაახლოებით 800.000 კილოგრამი. საქართველოში მოდის აგრეთვე ბლომად ლეღვი, ატამი, ფორთოხალი და მანდარინი.

ქვანახშირი იპოვება ბევრ ადგილას, განსაკუთრებით ტყვიბულში (ამ მადნეულობას იქ ანგარიშობენ 94 მილიონ ტონამდე), სადაც მისი ექსპლუატაცია დაიწყო 1847 წელს და ტყვარჩელში, რომლის სიმდიდრეს ვარაუდობენ 200 მილიონ ტონამდე. უწინდელ რეჟიმის დროს ექსპლუატაცია ამ მადნეულობისა არ იყო დიდი, ის ახწევდა 60.000 ტონამდე ყოველ წლივ.

თუმცა ქვეყანა მეცნიერულად ჯერ არ არის გა-



მოკლეული, მაინც ვიცი, რომ საქართველოში ბევრია ნავით მდიდარი ადგილები. რუსეთმა ნავთის საქმეს თავი მოუყარა განსაკუთრებით აზერბეიჯანში, ბაქოს ირგვლივ; საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკური მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს ნავთს.

სპილენძი მოიპოვება ბლომად. გალენი ტყვიისა და ვერცხლ-ნარევი ტყვია აგრეთვე ძალიან ხშირია; ხოლო უმთავრესი მადნეული სიმდიდრე არის მარგანეცი. მისი ექსპლოატაცია დაიწყო 1878 წლიდან ჭიათურაში, ყვირილის ხეობაში, ყვირილის ახლო, სადაც მუშაობა წარმოებს 303 მადარაში. ომის წინ ჭიათურიდან გამოქონდათ ყოველ წლივ ერთი მილიონი ტონა თითქმის, განსაკუთრებით გერმანიაში და ინგლისში. საფრანგეთი არ ყიდულობდა 50 ათას ტონზე მეტს, ხოლო გერმანიაში სადებოდა 380 ათ. ტონა. მარგანეცის წარმოება საქართველოში უდრის და ომის წინედ მსოფლიო წარმოების ნახევარს. რაც შეეხება პიდრო-ელექტრონულ ძალას, შესაძლებელს საქართველოში, ის ნავარაუდევია სამ მილიონ ცხენი-ორთქლის ძალამდე (9 მილიონია საფრანგეთში). დაგუმატოთ აქვე, რომ ნახევარი ამ ძალისა ეხლავე შეიძლება მოწყობილი იქნას.

საქართველოში კპოულობენ აგრეთვე ოქროს მადანს დიდ მდინარე ენგურში. ეს ცნობილი იყო უძველეს დროიდან. მაშინ საქართველოს ეძახდნენ კოლხიდას (ოქროს ვერძი).

ვრცელი ტყეებით დაბურულია თითქმის 40 არ. საქართველოს ტერიტორიისა. მათი ექსპლუატაცია მეტად გაადვილებულია მრავალი მდინარეებით და შავი ზღვის სიახლოვით. ამიტომ ტყის გამოზიდვა არ ჯდება ძვირი. ხეები კი კავკასიის პლატოზე თავის სიდიდით არ ჩამოუვარდება ინდო-ჩინეთს. საქართველოს ტყეებში შესვლებით ყოველნაირ ჯიშის სხვადასხვაობას და ეჭვი არ არის ქალაქის ქარხანა იპოვიდა იქ ნედლი მასალის ამოუშრობელ წყაროს.

დაბოლოს, მოვიხსენიებ იმასაც, რომ მინერა-

ლური წყლები საქართველოში ცნობილი იყვნენ ბევრი საუკუნის წინეთ; ავადმყოფი და დავრდომილები იქ მიდიოდნენ რუსეთიდან და შუა აზიიდან ჯანმთელობის მოსაპოვებლად.

რუსეთის მართველობამ ასი წლის განმავლობაში დაადაბლა ეკონომიური განვითარება საქართველოში.

საქართველო, როგორც სომხეთი და აზერბეიჯანი, მდებარეობს კასპიის და შავი ზღვას შუა და თავის მდებარეობით ნამდვილი ხიდია და სავაჭრო გზა ევროპასა და აზიას შუა. კავკასიის რკინის გზები იყო მეტად შემოსავლიანი რუსეთის იმპერიაში. ბაქობათუმის ნავთსადენსაც, რომელიც ვადის საქართველოს ტერიტორიაზე, შემოაქვს მეტად თვალსაჩინო და ნაღდ შემოსავალი.

მაგრამ დღეს საქართველო ეკონომიურად დამონებული ჰყავს რუსეთს. ის ზღუდე, რომელიც შემოართყა მას რუსეთმა და რომლითაც მოსწყვიტა ის ევროპას, მეტად მძიმეა და იძლევა საშინელ შედეგებს სახალხო ბიუჯეტისათვის. თავისუფალი საქართველო შეეკრა პირობით და აღუთქვა რუსეთს თავისუფალი გზა თავის ტერიტორიაზე ევროპიდან აზიაში, მაგრამ რუსეთმა ბოლოს არჩია თვითონ მოეწყო თავის საქმე. და, მიუხედავად 7 მაისის (1920 წ). ხელშეკრულებისა, რომლის ძალით რუსეთმა მიიღო ვალდებულება, «არ ჩარეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში», მაინც დაიპყრო საქართველო და ხელში ჩაიგდო მისი სიმდიდრენი. ესლა, მიუხედავად მისი ზღაპრული სიმდიდრისა, საქართველო გალატაკებულია და მისი მცხოვრები ჩავარდნილი დიდ გაჭირვებაში. ბევრჯერ სცადა საქართველომ გადაეგდო რუსეთის უღელი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიაწვია მიზანს.

მისი სიმდიდრე გახდა მიზეზი მისი უბედურებისა.

Adrien Marquet,

დეპუტატი ჟირონდისა, ქალაქის თავი ბორდოსი.

მკითხველ ქართველ მეგობრებო

მკებო თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

დარწმუნებული იყავით, რომ ამ მაისის თვეში, თქვენი დამოუკიდებლობის ათი წლის თავზე; შვეიცარიაში და მის გარეშე მრავალნი და მრავალნი ვართ ჩვენ, ვინც უღრმესი თანაგრძნობით გიგონებთ. თქვენ დაიბრუნეთ თქვენი დამოუკიდებლობა, გმირული ბრძოლა დაგჭირდათ ამისათვის: ესლა უნდათ მოგტაცონ ის და ჩვენც თქვენთან ერთად ხმამაღლა ვაცხადებთ პროტესტს ამგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ დარწმუნებულნი იყავით, რომ ტანჯვაში განბანული თქვენი კეთილშობილი ერი გამოვა ამ განცდიდან უფრო ძლიერი. უფრო ღირსეული, ვინემ ოდესმე. ცნობილია, რომ ტკივილი აწითობს ხსიანს და ამტკიცებს პიროვნებას როგორც კვიოთ კაცისას, აგრეთვე ერისას. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სანუკვარი სამშობლო, ერთ დღეს—იმედია მალე—განთავისუფლებული ჩაგვრის უღლისა-

გან, შესძლებს არამც თუ თვით დასტკბეს სრულის კეთილდღეობით თავისუფლებაში, არამედ აგრეთვე ხელს შეუწყობს რუსეთს, მოიპოვოს თავისუფლება და ააცილოს ევროპას და მსოფლიოს ბოლშევიზმის საშინელება.

გაუმარჯოს საქართველოს, თავისუფალს და გამათავისუფლებელს! დღევრძელ და ბედნიერ იყოს იგი!

Frank Tomas.

შენი მვნა: ხემო მოყვანილ წერილის ავტორი ბ. ფრანკ თომა, ქენევის ცნობილი პასტორი და დიდი ორატორი, არის წვერი საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტისა, დღიდან მის დაარსებისა. მას არა ერთხელ წაომოუთქვამს საჯაროთ აღგზნებული სიტყვა ქართველ ერის წმინდა საქმის დასაცავათ.

«დამოუკიდებელ საქართველოს»

უდიდეს სიამოვნებით ვიგონებ ჩემს მოგზაურობას საქართველოში, ამ უმშვენიერეს და უმდიდრეს ქვეყანაში, რომელიც იმ დროს შეხარდა წლების განმავლობაში ბრძოლით მოპოვებულ თავის თავისუფლებას და რომელიც იყო ნაცნობი, როგორც რუსეთის, ისე მოკავშირეთა მთავრობების მიერ.

იმის შემდეგ მგლოვიარება და მწუხარება დაატყდა თავს ამ პატარა ქვეყანას. მისი რჩეული ლიდერები დღეს ემიგრაციაში იმყოფებიან, გმირულათ იტანენ თავიანთ გასაჭირს და დიდი სურვილით და იმედით შეეუბნებენ თავისუფალ სამშობლოში დაბრუნებას.

მე სავესებით მესმის ეს მათი სურვილი და იმედი და ამ მხრივ მთელი ჩემი თანაგრძნობა მათ მხარეზეა.

ვიმედოვნოთ, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა ერები იცნობენ საქართველოს მოთხოვნილების სამართლიანობას, რომ ის თვითონ გაუძღვეს თავის ბედს, დააწესოს რა პოლიტიკური მართველობაც სურს და როგორც უნდა, ისე მოაწყოს თავის საკუთარი საქმეები.

მანამდე კი ყველა ქართველ ემიგრანტებმა მამაცურად უნდა აიტანონ მწუხარება და გასაჭირი და მათთან ერთად ყველამ, ვისაც კი ეს ესმის, განაგრძოს პატარა ერების უფლებების დაცვა, მათ განსათავისუფლებლად დამმონავებელისგან.

Mrs Philip Snowden.

ეთელ სნუდენი.

26 მაისის ბ ა თ ვ ი ს.

ქართველი ერის პოლიტიკური თავისუფლება დღეს დასამარებელია, მაგრამ მისი სული არსებობს და წინ მიისწრაფვის! უცხო ქვეყნის ბატონობის გამო ქართულ ცივილიზაციას დღეს არ შეუძლია თავსებით და თავისუფლად ცხადყოს თავისი თავი, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველ ერის სახეობა ჩვენ მაინც გვევლინება მთელი მისი ცხოვრების—ენის, ტრადიციების, მუშაობის და აზროვნების სახით. ასეთი მძლავრი ინდივიდუალობის მქონე ერი არ შეიძლება დაიღუპოს.

ის, რაც მე იმედს მაძლევს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას აქვს ბრწყინვალე მომავალი და რომ ეს დამოუკიდებლობა საშუალებას მისცემს ქა-

რთველებს მათი საკუთარი წვლილი შეიტანონ კაცობრიობის ისტორიაში,—არის არა მარტო მათი შეუპოვარი წინააღმდეგობა მტრისადმი, არამედ უკანასკნელის მთელი ის სიმკაცრე, რომელსაც ის მიმართავს ქართველ ეროვნების გასანადგურებლად. ქართველების ღირსეული ყოფაქცევა გაკვირებაშიც ახდენს შთაბეჭდილებას მთელ განათლებულ კაცობრიობაზე.

William Gillis.

ვილიამ გილისი.

ინგლისის მუშათა პარტიის ინტერნაციონალური დეპარტამენტის გამგე.

საქართველო გაცხადია.

საქართველო და ჩეხოსლოვაკია! ორი სხვა და სხვა ერი, მაგრამ ერთი და იმავე ბედის. ერთი და იმავე ნებისყოფით, ერთი პრეგრამით და ერთი მიზნით.

წელს სრულდება ათი წელიწადი რაც გამოცხადებულ იქმნა ჩვენი ერების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

26 მაისს 1918 წელს დაიბადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 28 ოქტომბერს 1928 წელს კი ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჩეხოსლოვაკიის ერმა განვლო თავის ისტორიის მანძილზე საშინელი ტრაგედია. მე-15 საუკუნეში იბრძოდნენ ჩვენი გუსიტები ევროპის სათავეში სინდისის თავისუფლებისათვის. სამასი წლის წინეთ ჩვენ ამოგვშალეს ევროპის ისტორიიდან. პაბსბურგთა დინასტიამ დაგვადო ჩვენ საფლავის ლოდი; წაგვართვა ორი მესამედი ჩვენი მიწა-წყალის, განდევნა ასი ათასი საუკეთესო შვილები—ვაყები და ქალები—უცხოეთში, დასწვა ჩვენი ლიტერატურა, ფეხს ქვეშ გასთელა ჩვენი ენა და მე-18 საუკუნის დასასრულში უმაღლეს ტანჯვაში მყოფი ჩვენი ერი

გაკრულ იქმნა გოლგოთაზე და კვდებოდა ის...

მაგრამ ჩვენ მაინც არ დავიღუპეთ. მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, მოხდა მეორე დიდი რევოლიუცია 1848 წ., ამოანათა პირველმა სნივმა მსოფლიო დემოკრატიის და გაიღვიძა ჩვენმა ხალხმა და აღსდგა ის სამასი წლის სამარედგან. ჩვენი ხალხი არის მშრომელი, კულტურული და დემოკრატიული. რაც ჩვენ გავაჩნია, ყველაფერი ეს მოვიპოვეთ პაბსბურგთა და ძველ ფეოდალურ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასტყდა მსოფლიო ომი და ჩვენ ავაფრიალეთ დროშა რევოლიუციის პაბსბურგთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაანთეს ომის ცეცხლი. ავსტრია-უნგრეთმა დაატრიალა ტერორი და ტანჯვა-წამება, რომლის მაგალითი არ იცის დასავლეთის ევროპამ. ავსტრია-უნგრეთი მაინც დაეცა და ჩვენ გავიმარჯვეთ. გავიმარჯვეთ ჩვენ მსოფლიო დემოკრატიის დროშის ქვეშ.

მზგავსი ბედი სვდა წილათ საქართველოსაც: ისიც იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, მასაც აქვს ბრწყინვალე ეროვნული კულტურა და ისიც უსაზღვროთ ტანჯული გაკრულ იქნა გოლგოთაზე. მაგრამ საქართველო დღეს არ არის მარტო, როგორც არ



ვიყავით მარტო ჩვენ. საქართველოსთან ერთად არის მთელი მსოფლიო დემოკრატია და საერთაშორისო სოციალიზმი. საბჭოთა მხეცურმა ჯარებმა სისხლით მორწყეს საქართველო, გასთელეს ის საბჭოების მილიტარიზმის და იმპერიალიზმის რკინის ჩექმებით. მაგრამ საქართველო მაინც არ მოიდრიკა, საქართველო ცოცხლობს, ის ცოცხალია კულტურული კაცობრიობის გულში და თავში, ის ცოცხლობს მსოფლიო დემოკრატიის ტაძარში. საქართველო აღსდგება ხელ-ახლა ისე როგორც აღვსდევით ჩვენ—ჩეხო-

სლოვაკები. საქართველოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავზე მიქროლავს ჩვენი სალამი კავკასიაში მთელ ქართველ ხალხთან. სალამი და გამარჯვება თქვენ, ქართველებო! იყავით მხნე! მოახლოვებულა ეამი თქვენი აღდგომის, მომავალია თქვენია.

D-r Fr. Soukup.

დოქტორი ფრ. სლუკუპ.

ვიცე-პრეზიდენტი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სენატის.

საუკეთესო სურვილები!

დამოუკიდებლობის გამოცხადების ათი წლის თავზე ქართველ ხალხს მხურვალეთ მივესალმები. შეიძლება მე შესაფერი სიღრმით არ ვიყუ ჩახედული ამ პატარა და მამაც ერის ისტორიაში. მაგრამ, რაც მე წამიკითხავს, იმიდგან ნათლათ სჩანს, რომ მას სურს კვლავ განდეს თავისუფალი, როგორც ის წინთ 2.000 წლის განმავლობაში ყოფილა, და თავისებურათ სჟედოს თავისი ბედი. მე ვიცი, რომ ამ ერს ქონებია უძველესი კულტურა, აქვს თავისი საკუთარი ენა და ლიტერატურა, რაც მას სრულ უფლებას აძლევს იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. და რაც დიდი დრო არ უნდა გავიდეს, საჩამ ის თვის მიზანს მიღწევდეს, მან უნდა ყოველთვის მოითხოვოს თავის სუვერენობის წარუხრციელი უფლება, როცა მას საამისოთ შესაფერი შემთხვევა კი მიეცემა.

ჩემთვის პირადათ სრულიათ ნათელია, რომ იმპერიალიზმი, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, ყოველგან არის მიზეზი ხალხთა ბევრნაირ ჩაგვრისა და დაქვეითებისა. მე ყოველთვის ვიყავი ჩემი საკუთარი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მუდამ დავრჩები ასეთივე იმ რწმენით, რომ არ არსებობს ერი, რაც ძლიერი არ უნდა იყოს თავისი ჯარით, ფლოტით, თუ საჰერო ძალით, რომელმაც შესძლოს კარგათ განავოს საქმეები მეორე ერისა, დიდი იქნება თუ პატარა რიცხვით ეს უკანასკნელი. და ჩემთვის, როგორც მაღაროს ძველი მუშისათვის, რომლის მთელი სიმპატიები მუშების მხარეზეა, არაა პასუხი ის, რომ, თუ იმპერიალიზმი მოქმედობს რომელიმე ქვეყნის მუშათა კლასის სახელით,

ამ შემთხვევაში ვითომც ყველაფერი რიგზე იყოს. იმპერიალიზმი დაგმობილ უნდა იქნეს ყოველთვის, მოქმედებს ის კაპიტალიზმის, ნაციონალიზმის, რელიგიის, თუ პროლეტარიატის სახელით. იმპერიალიზმი თავისთავათ ბოროტებაა; და ის მთავრობა, რომელიც იარაღით, ან სხვა რამე საშუალებით იპყრობს მეორე ერს, რა მიზნებისათვისაც უნდა შეეცადოს ამას, ისეთსავე დანაშაულს ჩადის, როგორც ყაჩაღი. რომელიც შემოიჭრება ჩემ სახლში და ჩემდამი მომიხნებულ რეგოლვერით ხელში რჩება იქ.

საერთოთ ყოველივე მთავრობა, რომელიც იპყრობს სხვას გარეშე ძალის საშუალებით, თუ შინ სამოქალაქო ომის გამოწვევით, ყოველთვის ცდილობს მონახოს ამის გასამართლებელი საბუთები და ირწმუნება, რომ მას ამოქმედებს დაპყრობითა ინტერესები. საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ დღეს არაფრით არ განიხრევა კაპიტალისტური და იმპერიალისტური მთავრობების მიერ სხვა ქვეყნების დაპყრობისაგან; არც ის საბუთები, რომლითაც რუსეთის მთავრობა ლაშობს გაამართლოს თავისი აქტი, არაა უკეთესი იმ საბუთებზე, რომელიც მოყავთ მათ, ვინც პატარა ერების სეე-ბედით თამაშობენ და ვაჭრობენ საერთაშორისო ასპარეზზე.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ ჩემი გრძნობა ასე გამოითქმის: «ან თავისუფლება, ან სიკვდილი».

რ. დევისი.

თემთა პალატის დეპუტატი.

საშინაო საქმეთა მინისტრის ამხანაგი მკადონალდის მთავრობაში 1924 წელს.

პირველი დიპლომატიური ნაბიჯი.

(მოგონებიდან)

ჯერ არ დამდგარა დრო ჩვენი ახლო წარსულ დიპლომატიანე ვიბასოთ და მეც არ ვაპირებ ამას; მინდა მხოლოდ შევეხო მის პირველ ნაბიჯს და ისიც იმდენათ, რამდენათ მას ხელზე იხვევენ რუსები და ზოგჯერ სხვებიც ჩვენდა «შესარცხვენათ». მე მოგახსენებთ ბათუმის კონფერენციანე, მაისს 1918 წ., რომელიც ჩვენმა დამოუკიდებლობის გამოცხადებამ შეწყვიტა...

ვერ წარმოიდგენთ, რანაირ უსუსურობას, მეტი რომ არ ვთქვათ, იჩენენ ისინი, ვინც ამბობს, ვითომ ჩვენი დამოუკიდებლობა ნაკარანხევი იყუ გარედან, ოსმალთ ან გერმანელისაგან, ვითომ ჩვენ კიდევც მო-

ვიწვიეთ ისინი! ვინც ამას ამბობს, არ მოსდის თითქოს თავში, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა, ისე როგორც პოლონეთის, ბალტიის რესპუბლიკების; ფინლანდიის პირდაპირი შედეგი იყუ საიმპერიო რუსეთის დამარცხებისა და დამოღობის.

მაგრამ დავუბრუნდეთ ოსმალთ და გერმანელთ, განა ჩვენ მოვიყვანეთ ისინი? არა, რასაკვირველია, თვითონ მოვიდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ, იქ დათმობილ საქართველოს და სომხეთის ერთი ნაწილის დასაკავებლათ. ჩვენ გაუჟღადიანდით, წავაგეთ—აქედან ბათუმის კონფერენციაც.

და აი, ამ კონფერენციანე ვიხილეთ პირველათ

გერმანიის დელეგაცია. ჩვენ ერთი თვე ველაპარაკეთ პირისპირ ოსმალეთის დელეგაციას ტრაპეზუნდში და ამოთ ვეკითხებოდით მას, რატომ გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა, ბულგარიამ არ გამოგზავნეს თავიანთი დელეგატები. მაშასადამე, გერმანელების გამოცხადება ბათუმში ახალი საყურადღებო მომენტი იყო.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიცოდით წინასწარ, როგორ უნდა მივდგომოდით მათ, ან კიდევ—როგორ მიუდგებოდენ თვითონ ისინი ჩვენს საქმეს. მდგომარეობა კი მეტის-მეტათ მიიმე იყო. ოსმალთა გადალახა ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრები, დაიკავა ნახევარი სომხეთი, შეიქრა საქრისტიანო საქართველოში. მისი ხალხი ბრძანებლობდა განჯას, ბაქო კი ბოლშევიკების ხელში იყო. საზღაპირობები, რომელიც მან წარმოგვიდგინა, მოითხოვდა მთელს მესხეთს ჩვენგან. გუმბრის და ეჩმიადინის მაზრებს სომხებისგან, და კიდევ უპირატესობათა მთელ რიგს ომის უფრო მარჯვეთ გასაძლელათ ინგლისის წინააღმდეგ სპარსეთში.

საჭირო იყო შექმნილ მდგომარეობის დიდის წინდანედულებით დაფასება და ერთი გარკვეულ ხაზის აღება დაუყონებლივ. რა ხაზი იყო ეს? ცდა მიგვემხრო გერმანელი და დავა ჩვენსა და ოსმალს შორის გადაგვეტანა! მაგრამ როგორ? ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მომარჯვებით, ერთის მხრით, და მათთვის აუცილებელ სატრანსპორტო საშუალებათა დათმობით, მეორეს მხრით. ჩვენ ვამბობდით: დამარცხებული ვართ, მშველელი არავინ გვყავს. არ მივცემთ—თვითონ წაიღებენ; სამაგიეროთ გერმანელი არ მოისურვებს ისე ადვილათ ბრესტ-ლიტოვსკის აქტის ცალმხრივ გადასინჯვას ოსმალს მიერ, სხვა მოკავშირეთა უნებურათ...

ჩვენ გვეჩონდა სულ ერთი სხდომა, ან უკეთ—კონფერენციის ოფიციალური გახსნა, როცა ოსმალსაგან «ზავის და მეგობრობის» პროექტი მივიღეთ. დანარჩენი დრო მოვანდომეთ ნოტებით კამათს ოსმალსთან ბრესტ-ლიტოვსკის ირგვლივ და კერძო შეხვედრებს მასთანვე და გერმანელთან, ცალცალკე.

აქ უნებურათ მაკონდება ბ. ზ. ავალიშვილის ერთობ მხიარული აღწერა ამ ამბების, და თან ისე. ვითომ მის უმისოთ ნაბიჯიც არ გადადგმულა. თუმცა მეტ შემთხვევაში ის არაფერ შუაში იყო და არც ბეჭერი რამ იცოდა, რასაც მე ეხლა, უნდა გაგიტყდეთ, ყველაზე ნაკლებ ვნანობ... ერთს მაინც ვერ ვაპატიებ ჩემს უსწორო «მრჩევლს»: ასეთი გარდაუვალი პიროვნება ჩვენი დიპლომატიისათვის, და ისიც კი არ ჩამითვალა დამსახურებად, რომ მე თვითონ გამოვნახე ის და ჩავაბი მუშაობაში! მაგრამ ბ. ზურაბი ისედაც დასჯილია იმით, რომ მისი წიგნიდან გვიშენენ დღესაც მტრები ყუმბარებს, არას ვამბობ შალვა ელიავას წინასიტყვაობაზე.

ერთი სიტყვით, ჩვენ სულაც არ ვიყავით მხიარულ გუნებაზე და თვით საქმეც არ ყოფილა ისე მარტივი. დიდი ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაშასადამე, წარმოუდგენელი იყო, რომ გერმანიას მოესურვებია ჩვენი გულისათვის მის მოკავშირე ოსმა-

ლეთს აშლოდა. თან ოსმალს ჯარი ჰყავდა კავკასიაში, გერმანელს კი არა, მაშ როგორ გნებავთ, რომ პირველს შეეცმინა მეორის რჩევა?

მართალია, ჩვენი პროგნოზი სწორი გამოდგა: გერმანიის პირველ დელეგატს გენერალ ფონ ლოსოვს ძალიან არ მოსწონდა ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრების გადალახვა. მას აფიქრებდა განსაკუთრებით რუსეთის შეურიგებელი პოზიცია დაკარგულ ტერიტორიებზე კიდევ ახლები წაემატებია. ამიერ-კავკასიაში ჯერ არავისგან იყო ცნობილი და ფორმალურათ რუსეთის ფარგლებში ითვლებოდა და ამიტომ გერმანია გაურბოდა ახალ გართულებას მასთან. ფონ ლოსოვი ბევრი ეცადა ჩვენ და ოსმალ მოვერიგებინეთ, შუა-კაცობაც კი იკისრა ოფიციალურათ. მაგრამ ვერას გახდა. ოსმალეთის პირველი დელეგატი, იუსტიციის მინისტრი, ხალილ ბეი იმეორებდა კონფერენციასზედ წამოყენებულ დებულებებს: ტრაპეზუნდის ზავი ამერ-კავკასიის სეიმმა არ დაადასტურა, პირიქით გვეომა და წააგო. მაშ ჩვენ ეხლა ვერ დავჯერდებით ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებსო.

ხალილ ბეი ასრულებდა თავის მთავრობის დირექტივებს, მაშინ როდესაც ფონ ლოსოვს არ ჰქონდა მაგარი ზურგი იმავ სტამბოლში. იქ მაშინ იჯდა გერმანიის ელჩად გრაფი ბერნსტორფი, სწორთ ის ბერნსტორფი, რომელმაც ენლახან გაითქვა სახელი ყენევაში თავისი «ბოლშევიზანობით»! აი, ეს ელჩი, შეშინებული იმით, რომ ოსმალეთი გადაუდგებოდა გერმანიას, ძალიან ერიდებოდა თალაათ-ენვერ-ჯემალის წყენას და ურჩევდა გერმანიის დელეგატს ბათუმში დათმობას და კიდევ დათმობას.

არ ვიცი, გამოქვეყნდება თუ არა ერთ დროს ფონ ლოსოვის და ბერნსტორფის არა ერთი ბასი პირდაპირი მავთულით, ან კიდევ მათი მიწერ-მოწერა, ცხადია მხოლოდ, რომ ჩვენთვის გადაამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელი ერთი ვალთსაზრისი გაიმარჯვებდა. ფონ ლოსოვი ეყრდნობოდა «დიდ შტაბს», ხოლო ბერნსტორფი—საგარეო სამინისტროს. უნდა ითქვას, ბათუმი არ იყო ისეთი კარგი სტრატეგიული პუნქტი, როგორც სტამბოლი: მთელი კავშირი როგორც ბერლინთან, ისე ფრონტთან ბერნსტორფის ხელთ იყო, ასე რომ მას საშუალება ჰქონდა ფონ ლოსოვის მოხსენებანი თავისი «დასკვნებით» გაეზათილებია!

და ეს ჩვენ მაშინ ვიგბრძენით, როცა ფონ ლოსოვმა განაცხადა მოულოდნელათ, რომ საქიროა მისი გამგზავრება ბერლინსა და ფრონტზედ. სადაც მას კაიზერის «დიდი შტაბი» ეგულებოდა. მაგრამ ამ განზრახვას ბერნსტორფი გადააღობა წინ, ჯერ ზავი შეკარითო—თვლიდა ის. ცხადი იყო ჩვენთვის, რომ ფონ ლოსოვმა წააგო ბრძოლა უმაღლეს ინსტანციებში...

ხალილ ბეიც, რა თქმა უნდა, გულზედ ხელდაკრეფილი არ იჯდა და ცდილობდა ჩვენს წაჩქებას. ყოველ შეხვედრაზე იმას გვეუბნებოდა, ჩამოსცილდით მაგ გერმანელს, საქმე მარტო ჩვენთან დაიქირეთო. დიდის სიამოვნებით, ვუპასუხებდით ჩვენ, ოღონდ ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებს ნუ გადადიხართო.

საუბედურთ, ყველა ამას დაერთო არა-ერთსუ-

ლოგნება ამიერ-კავკასიის დღეგაციაში. აწერბეიჯანლები, რაც დრო გადიოდა. დაჟინებით მოითხოვდნ დათმობას. ჩამოვიდა არაოფიციალური დღეგაციაც განჯიდან და ჩვენს ზურგს უკან გაუმართა მოლაპარაკება ოსმალს! ისინი ასე ასაბუთებდნ ამ საქციელს: ოსმალს დახმარება გვეჭირია ბოლოშეკივების ბაქოდან გასაძეველათო.

ამ რიგათ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა არ არსებობდა ფაქტიურათ: აწერბეიჯანი და სომხეთი მეტწილათ დაკავებული იყვენ გარეშე ძალებისაგან, დარჩა მხოლოდ საქარტიანო საქართველო, რომლის ერთი გვერდი უკვე შეღვეწილი იყო და ოსმალს სხვა მხრიდანაც უვლიდა მას. საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა! ამ დიდ ფაქტს ფრიად საინტერესო პროცედურა უძღოდა წინ, მაგრამ ეგ არ არის ჩვენი დღევანდელი თემა.

ფონ ლოსოვმაც მაშინვე გააკეთა თავისი დასკვნა, როგორც კი გაიგო ჩვენი განზრახვა: ამიერ-კავკასია ჰქრება, მაშ ჩემი მანდატიც ჰქრება, ზავი მხოლოდ მასთან უნდა შემეგრა. გავეშურები შინ ახალი ინსტრუქციებისათვის! თქვა და მაშინვე გემი «მინა პორნის» მოკავშვას შეუდგა.

ამ დროს ჩვენ უკვე ხელთ გვექნდა ხალილ ბეის ულტიმატუმი: სამ დღეში ან მიიღეთ ჩემი პირობები, ან სამხედრო მოქმედებას ვიწყებთო. ამუშავდა აპარატი ბათუმსა და სტამბოლ შორის: ფონ ლოსოვი მიდის, შეაჩერეთ—მოითხოვს ხალილბეი. ის ეხლა არც კი ერიდება თავის კოლეგას და აპარატსაც არ აძლევს დასალაპარაკებლათ—გაფუქებულია, დაკავებულიაო!

ჩვენც ვეუბნებით თფილისს: დააჩქარეთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, სანამ ულტიმატუმის ვადა არ გასულა.

დადგა 26 მაისი, მოდის დეპეშა და ფონ ლოსო-

ვიც ადის გემზედ თავის ბარგი-ბარხანით. ღუნა აღებულია, გემი იძვრის, ჯერ კიდევ ახლოა ნაპირთან, ხმის მიტანება შეიძლება. ამ დროს ჩნდება ხალილ ბეის კურიერი, კონვერტი ხელში: «უბრძანეთ გააჩერონ გემი, ღენერალო! მაქვს გადმოსაცემი მინისტრისაგან!»—ჩვენებს კონვერტს. გემი უმატებს სვლას, არაფერი ესმით არც ღენერალს. არც მის ამაღლას: ჰქრება.

არ იყო ძნელი მისახვედრი, რა უნდა ყოფილიყო კონვერტში: ბერნოტორფის საშუალებით გადმოცემული ბრძანება ბერლინიდან: არ დაიძრათ ადგილიდან! მაგრამ ფონ ლოსოვისთვის არ არსებობდა ეს ბრძანება. მას არ ჩაუბარებია, რადგან წასული შეიქნა! მან არც სტამბოლი გაიარა, კონსტანცია—რუმინით გაეშურა ბერლინს...

ჩვენც, რა თქმა უნდა, განვუცხადეთ ხალილ ბეის, თფილისს მივდივართ ეხლა უკვე საქართველოს მთავრობისგან «ინსტრუქციების მისაღებათქო!» გაცილებდა ძალიან სახეიმო იყო ბათუმის სადგურზედ; ქათინაურებს ბოლო არ უჩნდა იქით აქედან, განსაკუთრებით ჩვენსა ვეპიბ-ფაშას შორის!

აი, ეს გახლდათ ჩვენი პირველი დიპლომატიური ნაბიჯი. აღწერა სქემატიურია, უსულა ჩონჩხია, თუ გნებავთ, მე ამას კარგათ ვგრძნობ... მაგრამ ერთი მაინც აშკარაა: არ იყო მთლათ ურიგო ეს ნაბიჯი, გასაწითლებელი არაფერი გვაქვს. ვიცი, მტრები გვიკიყინებენ: თქვენ სხვა და სხვა ქალაქებს მოაწერეთ ხელიო. დიახ, მართალია, მაგრამ ისიც არ დაგვიწყნია, როცა ხელს ვაწერდით, რომ ომი გრძელდებოდა და საბოლოო არაფერი იყო; ხოლო დასახული ამოცანა პირნათლათ ავასრულეთ: ქვეყნის გადარჩენა აზრებისაგან.

ა. ჩ.

ქ რ ო ვ ნ უ ლ ი დ დ გ ო ბ ა.

26-მაისი—ეროვნული დღეობაა. გავიდა ათი წელიწადი, რაც გამოცხადდა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. გავა კიდევ ათი და ასი წელიწადი, და ეს აქტი დარჩება მუდამ სასახლო და სამედიდურო ყოველი ქართველისათვის.

მოსაწონია ჩვენი წარსული. გრძელია ჩვენი ისტორია. სავსეა იგი სახელოვანი შემოქმედებით, გმირული ეპიზოდებით, მაღალი განცდით და გამარჯვებით. საქართველომ შეიგნო თავისი თავი ხმელთა შუა ზღვის კულტურის და განათლების შუქში და მიუხედავად მრავალი სიძნელის, არ გამოსულა ამ შუქიდან, არ აცდენია საერთო კულტურის გზას და მისდევდა მოწინავე ერებს—საბერძნეთს და რომს.

საჭიროა ამ წარსულის მოგონება, რომ რიგინათ დავაფასოთ 26 მაისი.

საბერძნეთის კულტურის გავლენით გაიშალა რომის კულტურა. საბერძნეთის ფილოსოფიის და პოეზიის ნათელში აღმოცენდა იდეა უფლებისა. მას მისცა გასაოცარი გამოთქმა და განვითარება რომში. მთელი ის უფლობრივი მიმართულება, რომლით თავი

ვი მოსწონს ესლანდელ ევროპას და რომლით ის ცდილობს მოაწესრიგოს სოციალური და საერთაშორისო განწყობილება. უმთავრესი თავისი პრინციპებით მომდინარეობს ამ შორი და სხივოსანი მუშაობიდან. ძირითადი ხაზი ამ მუშაობისა იყო ადამიანის განთავისუფლება და განმტკიცება მისი ინდივიდუალური შემოქმედებისა. ეს იდეა უფრო მკაფიოდ გამოსუქდა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. «ადამიანის და მოქალაქის უფლებანი» გახდა უდავო ელემენტარული პრინციპი.

მაგრამ არ არის თავისუფლება პიროვნული, თუ არ არის თავისუფლება ეროვნული. ეროვნულ თავისუფლების დასაცავად, საქართველო. მე-18 საუკუნეში, დაუახლოვდა რუსეთს. დაუახლოვდა ხელშეკრულებით, დაუთმო ბევრი რამ, მაგრამ იმ პირობით, რომ თავის შინაურ საქმეებში მაინც ის ყოფილიყო დამოუკიდებელი და თავისუფალი. ჩვენ ვიცით, თუ რა ვერაგობით გათავდა ეს დაახლოება. რუსეთი შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო მისი მიწა-წყალი და გააუქმა ყოველი ეროვნული დაწესე-

ბულება. გაქრა იმედი თავისუფალი განვითარების და გამეფდა სამარცხვინო ძალმომრეობა და თვითნებობა.

მახსოვს, მეტეხის კედელზე ვიღაცას ფანქარით დაეწერა პუშკინის ცნობილი ლექსი, რომელიც შეიძლება აგრე გადაითარგმნოს:

აქ რუსული სული სუფევს,
აქ რუსული დადგა სუნი.

მეტეხის კიხეზე ეს წარწერა მომეჩვენა ნამდვილ ეპიტაფად იმ სასაფლაოზე, რომელიც აუგო რუსეთმა საქართველოს თავისუფლებას.

1918 წელს კი ამოივსო ფილა, მანამდე კიდევ იყო ცოტაოდენი იმედი, რომ რუსეთი ასე თუ ისე იძულებული გახდებოდა და დაადგებოდა საერთო განვითარების გზას, შემოიღებდა ცოტაოდენ თავისუფლებას და მისცემდა მეტ გასაქანს ეროვნულ შემოქმედებას. ამ წელს კი დაიკარგა ყოველი იმედი. ამ წელს მთელმა რუსეთმა ცხადპყო თავისი ბუნება: მან გამოაცხადა ბოლშევიზმი, გვერდი აუხვია საკაცობრიო განვითარების გზას და პირდაპირი ომი გამოუცხადა უფლებას და თავისუფლებას. საქართველო დადგა საშინელი დილემის წინ: აერჩია ან ერთი ან მეორე, ან ევროპის კულტურა და განათლება, ან მოსკოვის ველურობა. არჩევა რასაკვირველია არ იყო ძნელი, მაგრამ საშიშროება იყო დიდი. საქართველო არ შეუშინდა ამ საშიშროებას და გაბედულად სთქვა თავისი სიტყვა, მან უკუთავდა ერთხელ და სამუდამოდ «რუსულა სული და სუნიც».

აი ამიტომ არის 26 მაისი სახელოვანი დღე. აი რას აცხადებს ამ დღეს გამოქვეყნებული აქტი დამოუკიდებლობისა:

1. საქართველო—დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. საქართველო—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საქართველო პრჩება მუდამ ნეიტრალური.

4. საქართველოს ჰსურს იქონიოს მეგობრული განწყობილება ყოველ უცხოერთან, განსაკუთრებით თავის მეზობლებთან.

5. საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებანი ყოველ მოქალაქისა თანასწორად, მიუხედავად ეროვნების, სოციალურ მდგომარეობის და სქესისა.

6. საქართველო უხსნის ყოველ მის ტერიტორიკორიაზე მოსახლე ეროვნებას თავისუფალ ასპარეზს განვითარებისათვის.

ამ დეკლარაციამ ელვასავით გადასურა საქართველოს კამარა და გაანათა მისი წარსული და მომავალი. მისი ფსიხიკიდან შორს არის როგორც მონგოლური ტირანია, ისე კომუნისტური იდეოლოგია. იგი გადაჭრით უერთდება მსოფლიო ევოლუციის ნორმალურ გზას, განათებულს თავისუფლების იდეით. პიროვნული თავისუფლება პოლიტიკურად დებულობს დემოკრატიის სახეს და ჰგულისხმობს საერთაშორისო განწყობილებაში სახელომწიფებრივ სუვერენიტეტს. ეს სამი მომენტი განუყრელად გადაბმულია ერთმანეთზე და წარმოადგენს საკვირველ აშუქებას ბოლშევიკურ რუსეთის გვერდით ევროპის აზრის და იდეალებისას. ეს აშუქება მოხდა საქართველოში.

ამით არის სასახელო და სასიქადლო 26 მაისი, ის არის ლოზუნგი მთლიანი ფრონტის. ის არის დროშა განმათავისუფლებელი მოძრაობისა. იქ ამოქარგული იდეალი არის იდეალი მთელი კაცობრიობის—და გამარჯვებაც იმას დარჩება.

გიორგი ვვაზავა.

2 6 მ ა ი ს ი.

26 მაისი დიდი დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში. 26 მაისს აღსდგა ერი და საკაცობრიო ოჯახში საკუთარი პოლიტიკური სახით შევიდა. ეს გზა ბუნებრივი და ერთად ერთია ეროვნული აღორძინება-წარმატებისათვის: ლამაზი სული მახინჯ სხეულში დაიჩაგრება, ისე, როგორც მშვენიერი სხეული ბოროტი სულით შეილანება,—ეროვნული სული ეროვნულ სხეულს ითხოვს, სხვა კომბინაცია სიმანინჯეა. ისტორიამ შეიგნო ეს ჰეშმარტება,—ისტორიული პროცესი ეროვნული ხაზით მიმდინარეობს. ერი ერთბაშათ არ იშვება, იგი შედეგია ხანგძლივი წარსულის. ანტიურმა ხანამ არ იცის ეროვნული სახეობა, მაშასადამე არც კაცობრიობა. კაცობრიობა ეროვნებათა კომპლექსია. რაც უფრო მრავალ ფეროვანი და გაკრისტალეებულია ეროვნული ერთეულები, მით უფრო რეალურია კაცობრიობა.

ძველი ეგვიპტე, ჩინეთი, ქალდეა არ იყვნენ ერები, არამედ ხალხთა გროვა, უბრალო მასა მშის ან ცის შვილის ნებისყოფის აღმასრულებელი. არ არსებობდა მოქალაქე ეგვიპტელი, არც მოქალაქე ჩინელი.

რას წარმოადგენდენ გალეთი, ისპანია, იტალია, სანამ ისინი რომის იმპერიაში გაითქვიფებოდნენ?—მოდგამათა გროვას, ხშირად ერთად შეკავშირებულს, მაგრამ მოკლებულს ცენტრალულ ორგანოთა, მთლიანი, კოლექტიური სულის მატარებელთ. ასეთივე იყვნენ გერმანიის ხალხები, როდესაც ისინი გალო-რომაელებს შეეხიენ მეხუთე საუკუნეში. ისტორიულმა პროგრესმა გაქედა ეროვნული სული და რაც დრო გადის, ეროვნული შემოქმედების პროცესი უფრო და უფრო ნაკლები დაბრკოლების ხაზით მიმდინარეობს.

26 მაისი ისტორიის ბუნებრივი შვილია. ბოლშევიკური რუსეთი წინააღუდგა ისტორიას, შემოგვესია, დავეპყრო. ავგაწიოკა, შვიდი წელი გრძელდება აუწერელი წამება ქართველი ერისა, მასიურ ხერეტას, გადასახლებას ბოლო არ უჩანს! არ გატყდა ერი, არ იწამა ჯალათი, მტერი მოთმინებას ჰკარგავს და სასოწარკვეთილი ახალ-ახალ სისასტიკეთ იგონებს. რაც მტერმა ვერ შესძლო შვიდი წლის განმავლობაში, ის მას ვერ შესძლებს შემდეგშიც. უძლეველია ერი, რადგან შეუძლებელია ეროვნული სულის შეპ-

ყრობა და ერთ ხომ უფრო ფსიქოლოგიური ცნებაა, ვინემ ფიზიკური. შეგნება საერთო წარსულის, ერთი მთლიანი ნებისყოფა აწმყოში და მტკიცე სურვილი ერთად ყოფნის და მოქმედებისა, — აი მთავარი პირობა ერის არსებობისა, გადატანილი საერთო ჰარჯვა უფრო აქანდაკებს ეროვნულ სულს, ვინემ გამოვლილი ბედნიერება, რადგამ ეროვნული უბედურება ეროვნულ მოვალეობას ქმნის, საერთო მოვალეობა კი უკარანახებს ერს საერთო მოქმედებას. ვინ უარყოფს ამ ფაქტს, რომ ქართველ ერს დღეს უფრო სურს დამოუკიდებლობა, ვინემ ეს მას შვიდი წლის წინეთ სურდა, რომ ქართველი კაცი დღეს უფრო პატრიოტია, ვინემ წინეთ იყო. რატომ? იმიტომ, რომ მან მწარე გამოცდილებით დაინახა, თუ რას ნიშნავს სამშობლოს დაკარგვა. სამშობლოს დაკარგვას ვერ შეედრება ვერავითარი დაკარგვა, ერი, რომელმაც საკუთარი მიწაწყალი დაკარგა, უბედურია, ვერც ინტელექტუალური და ვერც მატერიალური დოვლათი ამ უბედურებას ვერ შეამსუბუქებს. აიღეთ ებრაელობა: მას ნიჭი, ენერჯია, არც ნვითერი სიმდიდრე არ აკლია, მაგრამ საკუთარი მიწაწყლის უქონლობა მისი აუნაზღაურებელი უბედურება შეიქნა. დღეს, ებრაელობა კარგად გრძობს ამას და მისი საუკეთესო ნაწილი ენერჯია და ყურადღება ეროვნულ კერის შექმნისაკენაა მიმართული. სტუმრათ ყოფნა, შესაძლებელია, ხანდისხან კარგი და სასიამოვნო იყოს, მაგრამ სამუდამოთ ჩასახლება სხვისას დიდი უსიამოვნობის და უბედურების წყაროა. რაც უფრო კულტუროსანია ერი, მით უფრო ამაყია იგი თავის თავით, მით უფრო ზვეიდან დაყურებს ის მოსულ, მისთვის უცხო, ელემენტებს. ხანგრძლივი ცხოვრება, სხვის კარმიდამოზე ნატურალიზაცია უფლებრივი და ორგანიული საქმეს არ შევლის—მკვიდრი მაინც სხვაა, ჩამოსახლებული კიდევ სხვა. გაეცანით უცხოეთს და ამას ნათლად დაინახავთ.

ეროვნულ კერას გაღვივება და ეროვნული მიწაწყლის შენარჩუნება მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოს ფარგლებში შეიძლება. მოიგონეთ, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი ქართული ტერიტორიის დაქუცმაცებას და აპრელებას უცხოელების ჩამოსახლებით. ქართველ ერს ნათლად ქონდა ყოველთვის შეგნებული მთლიანი ტერიტორიის საჭიროება, ამიტომაც უხვად ანთხევდა ის სისხლს მის შესანარჩუნებლად. რუსეთის ბატონობა დიდი საფრთხე იყო ეროვნული არსებობა-წარმატებისათვის და როგორც კი შესაძლებელი შეიქნა, ქართველმა ერმა თავისი თავი მონახა, საკუთარი კერა გაიჩინა, ოჯახი მოაწყო და ცხოვრებას შეუდგა. ბედნიერი იყო, თავისას უვლი-

და, სხვას არრას ართმევდა, სათნოებას თესდა, მშვიდობას ღაღადებდა.

მტერმა არ დაინდო წმინდა საქმე—შემოგვესია, დაგვიპყრო, აგვაწიოკა. მტერი დამარცხდება, ეს ექვს გარეშეა, ამის საბუთია ქართველი ერის გარდევალი სურვილი—მოწოდის უღელი მოიცილოს, და თვით მტრის ყოველმხრივი დაუძღურება; მაგრამ ბრძოლა ხანგრძლივდება და დიდი ფიზიკური მსხვერპლი მიაქვს. ჩვენ ისეთ მტერთან გვაქვს საქმე, რომლის ბრძოლის მეთოდი მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურებაა, ზოგს ხვრეტს, ზოგს ციხეებში ალპობს, დანარჩენს კემის და პეჩორის ტუნდრებში ახრჩობს. ჩვენ კარგათ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ეს და ყოველი ნაბიჯი «ასჯერ ვაწომილი» უნდა იყოს. ის რაც პრაქტიკულად სახიანოა, უკუგდებულ უნდა იქნას. ბრძოლის ახალ ხანაში ვართ. დღეს პრაპაგანდა ქართული იდეას არ სჭერია, ის საკმაოთ პოპულიარულია.

საქართველოს განთავისუფლების საქმეში გადამჭრელი როლი საერთაშორისო ვითარებამ უნდა ითამაშოს. ამ გზით დაარსდენ თითქმის ყველა პატარა სახელმწიფოები: ბულგარები, რუმინეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, ბელგია და სხვა. ქართული ნებისყოფა და სურვილი მხოლოდ სარჩული და მომენტებში სტიმული უნდა იყოს გადამჭრელი აქტის. ეს კარგათ უნდა გვქონდეს შეგნებული, რომ როლები არ აისყაროს და სარგებლობის მაგივრათ ზიანი არ მივაყენოთ ჩვენ საქმეს.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და დღესაც ვიმეორებთ, რომ მტერი ეკონომიურათ, მორალურათ დამარცხებულია და ჯერი მის ფიზიკურ ლიკვიდაციანა მიმდგარი, მაგრამ ძნელია იმის გათვალისწინება, თუ როდის დაეცემა იგი, შეიძლება წლების საქმე იყოს. თანახმათ ხალხური თქმულების—რომ «სიფრთხილეს თავი არ ტკივა»—ჩვენ უარესი შემთხვევა უნდა ავიღოთ და ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა და სულიერი განწყობილებაც ისე უნდა მოვმართოთ. ამას გვიკარანახებს პოლიტიკური სიბრძნე და ქეუმარიტი საქმიანობა.

26 მაისი უკვდავია, რადგან იგი ერის სულია, რადგან იგი ისტორიის განაჩენია. მოკლეს 26 მაისი, მაგრამ მან «სიკვდილითა სიკვდილი დათუნვა». დღეს საქართველო ძაძებშია გახვეული, ის გლოვობს დაკარგულს თავისუფლებას, მაგრამ, გვწამს, მოვა დრო და ეს დრო შორს არაა, მტერი დამარცხდება და ქართველი ერი ღირსეულათ იდღესასწაულებს თავის ახალი დაბადების დღეს.

ილია ნუცუბიძე.

მაიხი და თებერვალი.

ორი ისტორიული დღე, ორი დაუფიწყარი რიცხვი, ორი ძალზე გამოკვეთილი მოვლენა, მეტად ნიშნობლივი, დასაბამი ფართო და ღრმა ცვლილებათა—26 მაისი და 25 თებერვალი—მუდამ მოსაგონებელია ახალი საქართველოს ისტორიაში. ორი სხვა და სხვა გზა, სიცოცხლის და სიკვდილის მომასწავებელი, ერთი მეორის ნათყოფა, ერთია საკუთარი თავის

ვის შეგნება და პატივისცემა, თვითმოქმედება, ყოველი შინაგანი შესაძლებლობის გაშლა, განვითარება, სულიერი და ქონებრივი კეთილდღეობა, მეორე—ღირსების დაკნობა, იძულება, დამორჩილება, სხვისი ბრძანებით მუშაობა, ყოველი ნიჭის ჩაკვლა, დაბეჩავება, გაძარცვა, დაქვეითება. ერთია თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანობა, მეორე—მონობა;

ერთია—სუვერენული, თავისუფალი საქართველო, რომელიც თავის თავის ბატონია და თავისთვის მუშაობს, მეორე—დაპყრობილი საქართველო, სხვისი მორჩილი, სხვისთვის მომუშავე, სხვისი მოხარკი.

მაისი და თებერვალი განაპირველადაა ჩვენი ერის გრძელ ცხოვრებაში? არა. მაისი და თებერვალი წინადაც უპირდაპირდებოდნენ, ებრძოდნენ, უარყოფდნენ ერთმანეთს. იყო სპარსეთი (უფრო შორს რომ არ გავიხედოთ), იყო რომი, ბიზანტია, არაბეთი თურქეთი, მონღოლეთი, კიდევ სპარსეთი, ოსმალეთი და სხვა ბევრი მსხვილი თუ წვრილი მოძალადე, დამპყრობი, გამაზრებელი საქართველოსი, მებრძოლი მისი თვითარსებობის და დამოუკიდებლობის მოსახიზობად და იყვნენ საქართველოს შვილები. ქართველი დედის ძუძუთ აღზრდილი—მოლალატენი, გამცემნი, რომლებიც წინ მოუძღოდნენ მურვან ყრუებს, ლანგ-თემურებს, შაჰაბაზებს, ალა-მაჰმად-ხანებს, წინ მოუძღოდნენ ან გვერდში უდგნენ ქართველი ხალხის მტარვალებს და მათთან ერთად ცხენის ფეხებით სთელავდნენ ჩჩვილ ბავშვებს, ნამუსს ახდიდნენ ქართველთ ასულთ და კედლებზედ მიახეთქებდნენ მამულიშვილთა თავებს! საქართველო სისხლით შიორწყვეტბოდა ხალხე, ყოველი ნაშენი მტკრად იტყეოდა, განათლების ძეგლებს ცეცხლი შთანთქავდა, ადამიანები ტყეთა და კლდეთ შეეჩიხნებოდნენ და ნადირთა სათარეშო ხდებოდა ლამაზი, საყვარელი სამშობლო.

საქართველო იღუპებოდა, საქართველო ისპობოდა, საქართველო ძლივს ლაფავდა სულს! ეს იყო ჩვენი ისტორიის თებერვალი. მაგრამ იყო მაისი, უკვდავი, ძლიერი, იყო საქართველო მოტრფიანილ თავისუფლების, მუდამ თავდადებული თავის ეროვნებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის; იყვნენ მაღალხარისხიანი გმირები, აღუურვილნი ძლიერის სიყვარულით, იყო ხალხი მტკიცე, გაუტყხელი, რომელიც არასოდეს ეგუებოდა მისი თავისუფლების დამამხრბელთ, არ ინდობდა ორგულებს და ხან ნელის მოქმედებით, ხან სწრაფის შეტევით ძირს დასცემდა უცხოელთა ბატონობა და ქვეყანა ისევ დამოუკიდებელი იყო. სამშობლო მთელდებოდა, სამშობლო ვითარდებოდა, ოღონირდებოდა ქანებრივად, იქნდა განათლებას, ეწაფებოდა ყოველგვარ წარმატებას. ქართველი ერი უახლოვდებოდა მოწინავე ერებს, იღებდა მოწინავეობას საერთაშორისო კულტურაში, ფართოდ იშლებოდა მისი ნიჭი და შემოქმედება. საქართველო შენდებოდა, საქართველო მოირთვებოდა, საქართველო ხარობდა!..

აი თებერვალი და მაისი ჩვენი ისტორიის. მათი ბრძოლა ბოლოს და ბოლოს მაისის გამარჯვებით თავდებოდა. ქართველი ერი ყოველთვის კპოულობდა ძალას თავის თავისუფლების აღსადგენად, თავის მეობის დასაცავად და განსავითარებლად. ესაა მისი მთავარი, დამახასიათებელი თვისება. ამის შემწეობითაა, რომ ქართველი ერი ერთა, მან მოიტანა საქართველო დღემდე, მან გამოიყვანა ქართველი ერი მრავალ უარისა და უბედურობისაგან და უკვდავი ჰქმნა იგი. მაისია საქართველოს ამშენებელი, სიმკვიდრე მისი კეთილდღეობის. მისთვის იყო მუდამ

თავგანწირული ქართველი ხალხი, ასეთია დღესაც და მხოლოდ მაისში, მაისში ხედავს თავის ბედნიერებას, თავის ღირსებას, უფლებას. თებერვალი ყოველთვის დამარცხებული იყო საქართველოს ისტორიაში, მისი დამარცხება გარდაუვალია ახალი საქართველოს ცხოვრებაშიც, ვინაიდან ახალი საქართველოს საფუძველი შეიძლება იყოს მარტოდენ მაისი, 26 მაისი—გზა დამოუკიდებლობის, შემოქმედების, განვითარების!

თებერვალი წარმავალია, მაისი—მუდმივია ქართველი ხალხის ბუნებაში. მაღლა ავწიოთ მაისის დროშა. დროშა ისტორიული, ეროვნული, რომ დამარხოს, დამარხოს სამუდამოთ და აღარ აღსდგეს ჩვენს ცხოვრებაში თებერვალი, თებერვალი ბორკილების, დაცემის, გავერანების...

ს. ციხეცხალავა.



უცხოეთის მიმოხილვა.

არჩევნები საფრანგეთში.

დამთავრდა არჩევნები საფრანგეთში და გაიმარჯვა პუანკარეს რაზმი. ზოგი ამას პუანკარეს პლენისციტს ეძახის, რადგან ხალხის წინ იდგა ერთი კითხვა, სწორია თუ არა პუანკარეს მიერ წარმოებული ფინანსური პოლიტიკაო, და მან დადებითად უპასუხა: დიახ სწორიაო. ჩქარა ორი წელი იქნება, როცა ძველი პალატის მემარცხენე უმრავლესობა, ეროლს მეთაურობით (კარტელი) დაიშალა და ამის გამო მისი პოლიტიკაც დამარცხდა. მაშინ გირვანქა სტერლინგი 250 ფრანკი ღირდა, დღეს კი ღირს 125 ფრანკი! ეს იყო ხალხისთვის ყველაზე მჭერმეტყველი არგუმენტი.

მაგრამ ფრანკის კითხვას ჰქონდა თავისი პოლიტიკური გამოხატულებაც. კარტელის მაგიერ შესდგა ეროვნული კავშირი, რომელშიც შევიდნენ თითქმის ყველა რესპუბლიკანელი პარტიები მემარცხენე, ზომიერი, მემარჯვენე; წრის გარეთ დარჩენ სოციალისტები, კომუნისტები და როიალისტები. პუანკარემ შემოიკრიბა თავის სამინისტროში ყველა ცნობილი ლიდერები: ერიო, ბრიანი, მარენი, სარო, პენლოვე; ბოკანოვსკი, ტარდიო. მაშასადამე, თუ ძველ პალატაში ეროვნული კარშირი წარმოადგენდა უბრალო საპარლამენტო კომბინაციას, დღეს ის ეყრდნობა ხალხის მიერ არჩეულ უმრავლესობას და შეუძლია აწარმოვოს მტკიცე პოლიტიკა შინ და გარეთ.

რაში უნდა გამოიხატოს ეს სიმტკიცე, უკვე სჩანს კომუნისტების ხვედრიდან: მათ ჰყავდათ ძველ პალატაში 27 დეპუტატი, ახალში კი ეყოლებათ 14! როგორ მოხდა ეს, მოსკოვს უნდა ჰკითხოთ. ფრანგი კომუნისტები გრძობდნენ წინდაწინვე ასეთ შედეგს, კაცი კი აფრინეს ლიტვინოვთან ბერლინში, მაგრამ მან უთხრა: ჩვენი ბრძანება. თქვენი მორჩილებაო. ბრძანება კი მდგომარეობდა იმაში, რომ კომუნისტებს არ უნდა მოეხსნათ განმეორებით არჩევნების

დროს თავიანთი კანდიდატები. როგორც შედეგი, დაპყარგეს ნახევარი ადგილებისა და 40-ოდე ადგილი სოციალისტებს და რადიკალებს დაუქარგეს, ე. ი. გააყვანიეს მემარჯვენენი! ამ რიგად, ერთხელ კიდევ დამტკიცდა საქვეყნოდ, რომ მოსკოვი მხოლოდ სიტყვითაა რევოლიუციონერი.

ახალი პალატა უნდა შეიკრიბოს პირველ ივნისს და წარუდგება პუანკარეს მთავრობა დეკლარაციით. რა შინაარსის იქნება უკანასკნელი, ძნელი გამოსაცნობია. თუმცა საერთო გეზი აშკარაა: ფინანსების გაჯანსაღება და საერთაშორისო კონსოლიდაცია. მთავრობის შემადგენლობა უკვე ცხად პყლფს, რომ გაგრძელებულ იქნება გერმანიასთან დაახლოვების პოლიტიკა. ბერლინელ «ფორვერტს»-ის მიერ გამოქვეყნებული წერილი მის კორესპოდენტისა პარიზიდან პირდაპირ აცხადებს, რომ, თუ ვისმესთან შეგვიძლია შეთანხმება. ეს ისევე პუანკარესთან! დრონი იცვალენ, და ამას დაამტკიცებს ალბათ გერმანიის არჩევნებიც...

ჩვენთვის ეს განსაკუთრებით იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მოსკოვის შანსები პარიზის «ბირჟანედ» ძალზე დაეცა! ჩვენ არ ვამბობთ რუსეთ-საფრანგეთის კონფერენციაზე, რომელიც არავის ახსოვს, არც ვგრ. წოდ. თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე, რომელიც თითქმის დოვგალევსკის უნდა გადაეცა ბრიანისთვის. მარცხი უფრო დიდ მასშტაბშია მოსალოდნელი, რადგან საფრანგეთის დაახლოვება გერმანიასთან ნამდვილი კვანძია ევროპის მიერ გარკვეულ ხანის აღებისა საბჭოთა მიმართ. როცა პუანკარე აცხადებს ერთ თავის სიტყვაში—ჩვენ მოსკოვისაგან გაკვეთილი არ გვჭირია, ყველასათვის ცხადია, რომ ის არ დაუშვებს მოსკოვის ფულით წყლის მღვრევას საფრანგეთში და, თუ შემთხვევამ მოიტანა, იქით გადავა იერიშზე.

პადიშაჰი მოსკოვში.

ჩვენ ვიხილეთ საინტერესო სურათები «იხვესტია»-ში, თუ როგორ იღებენ «პირველი მუჟიკი» სრულიად რუსეთისა კალინინი და სოვნარკომი მთელის შემადგენლობით ავღანისტანის ემირს ამანულას. ალუმები, დარბაზობანი, სადილ-ვანშემები, გალა-წარმოდგენები... ერთი სიტყვით, როგორც შეპფერის «პირველ პროლეტარულ და სოციალისტურ სახელმწიფოს!» კობა ვერ დაეინახეთ სურათებში, ამბობენ აქაც იმბარა სირაქლემას ხერხიო—ისინი იღებენ, მე ხომ არა. ამით ლამობს კომპარტიის და კომინტერნის მოტყუებას. ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი პერიოდული გამოცემა, რომელსაც არ აღენიშნოს წერილით და კარიკატურით ეს ამბავი. სხვას უკიჟინებენ გვირგვინოსანთა წინაშე გაშლართვას, თვითონ კი «ინტერნაციონალ»-ის სმების ქვეშ ციბრუტივით თავს დასტრიალებენ აღმოსავლეთის თვითმყრობელს. მაგრამ ერთი გასამართლებელი საბუთი მიანც წამოუყენებია ბუდიონის თვით პადიშაჰისათვის: ჩვენ, თქვენო უდიდებულესობავ, აზონის ხალხი ვართ დი ამით აიხსნება ჩვენი მეგობრობა თქვენდამი და უნდობლობა ევროპისადმი. ამაზე პადიშაჰს უპასუხნია: მე ესლა ჩამოვიარე ევროპა და

ვფიქრობ, პირიქით, მას მივბაძო ბევრ რამეში. ცხადია, გვირგვინოსანი უფრო მახვილი სიტყვის გამომდგარა, მაგრამ არსებითაც ის უფრო ევროპიელია, ვინემ მისი მოსაუბრე.

საბჭოთა მთავრობას, გარდა უქვეშემდრომილესი დახვედრისა, სხვა რამეც აინტერესებდა. რა თქმა უნდა. ემირმა მოიარა ევროპის დიდი სახელმწიფოები, მათ შორის, ინგლისიც, სადაც მას ანახვეს არა მარტო სტუმართმოყვარეობა, არამედ ძლიერბაც. და ამან კი ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ ამოთ ცდილობენ «პროლეტარების ბელადნი» მის გაქარწყლებას. ტყუილა ჩაუარა ჩიჩერინს ღამეების თევამ ახალ ხელშეკრულების პროქტის შესადგენათ, პადიშაჰმა ბოლომდისინაც არ წააკითხა იგი მას: მე ესლა ამაზე არ მცხვლავ—უთხრა მას. ლონდონში არ უწარმოებიათ ასეთი ღია დიპლომატია, არ იციან, რაზე ილაპარაკეს ორხელ ასე ხანგრძლივ ემირმა და ჩემბერლენმა. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში ვერ გაბედეს «ჩვენი პასუხი ჩემბერლენს-აეროპლანები გამოეჩინათ, ამაშიც უფრო ევროპიელი გამოდგა პადიშაჰი.

ავღანისტანის გეოგრაფიული მდგომარეობა ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ემირს შემთხვევა ეძლევა ისარგებლოს ხან ერთი, ხან მეორე მენობლის გულუხვობით. მოსკოვის გულუხვობა სრულიად არაჩვეულებრივია, ის ხარჯავს ათეულ მილიონებს ავღანისტანის სამხედრო ტენჯისათვის და პადიშაჰიც სიამოვნებით იღებს მას. რაც შეეხება მოსკოვის «გარემონიკაზე» ცეკვას, ამაზე ნურას უკაცრავათ! გადამქრელია ძლიერება, ეს ახდენს, როგორც ვთქვით, აღმოსავლეთში შთაბეჭდილებას და ემირიც ალბათ ინდოეთისკენ იცქირება. ან და როგორ უნდა მიიბრუნოს მან პირი რუსეთისკენ, რომელიც კიდევ გუშინ ბუხარას მოაჯდა ქეჩოზე და მისი ემირი ქაბულშია, როგორც ლტოლვილი!

რას სწავტენ სოლმეკვიკვბსე.

გაზ. «მატენ»-ის თანამშრომელი სტ. ლოხან ურჩევს საფრანგეთის მწარმოებლებს არავითარი სავაჭრო საქმე არ დაიკავონ რუსეთთან, რადგან ეს იქნებოდა ფულის წყალში გადაყრა. მიუთითებს ფრანგებს გერმანიაზე, რომელიც ყველაზე ადრე მოურიგდა ბოლშევიკებს, ხელშეკრულება შეკრა მათთან და დიდი ხანია ვაჭრული ურთიერთობა აქვს მათთან, ფულიც ასესხა, კონცესიები აიღო რუსეთში. მაგრამ თუ რუსეთში შეტანილ საქონლის 47 პროცენტს გერმანიას ეკუთვნოდა ომამდე, 1925 წლამდე მის წილზე მოდიოდა 25.6 პროცენტს. ხოლო გასულ წელს 24,2 პროცენტს. რუსეთში კონცესიები აიღო გერმანელ მრეწველების სამმა ჯგუფმა; ამათგან ორმა ჯგუფმა უკვე ლიკვიდაცია მოახდინა თავის საქმეების და მესამე ძლივს ღაფავს სულს და არავითარ მოგებას არ იძლევა. გერმანელები თვითონ ხედავენ ახლა, თუ რამდენად ძნელია



ბოლშევიკებთან საქმას დაქურა. გერმან. გაზეთი დე-
ულ. ვოლკ.» ასე ახასიათებს რუსეთ-გერმანიის და-
მოკიდებულებას: თანახმად ხელშეკრულებისა საბ-
ჭოთა კომერციულ წარმომადგენლობას სრული თა-
ვისუფლება აქვს პირდაპირი კავშირი დაიკავოს გერ-
მანიის ყველა ოფიციალურ დაწესებულებასთან. ასე-
თივე უფლება აქვთ მინიჭებული გერმანიის წარმო-
მადგენლებს რუსეთში. ხოლო ეს მართა ქალადღებ
სწერია და გერმანიის ელჩსაც კი არ აქვს ფაქტიუ-
რად თავისუფლება კავშირი იქონიოს საბჭოთა სა-
ხელმწიფო დაწესებულებებთან. გერმანელ წარმომ-
ადგენელისთვის გაძნელებულია პასპორტის მიღება,
ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლა, ის მუდამ გაძ-
ლიერებული პოლიციურ ზედამხედველობის ქვეშაა
და ყოველდღე უნდა მოელოდეს, რომ ჯაშუშობას
დასწამებენ და დაატუსაღებენ. ლონანს მოჰყავს ეს
ცნობები და ასეთის სიტყვებით მიმართავს ფრან-
გებს: თუ ვისმეს აქვს ფული და არ იცის როგორ
მოიხმაროს, შეუძლია რუსეთში გადაყაროს თავისი
ქონება, თავისუფალია. ეს ჩვენ არ გვეხება. მაგრამ
ჩვენ შეგვეხება, თუ მთავრობა მოინდომებს სესხი მი-
სცეს საბჭოებს. შეგვეხება იმთ ვისაც გადასახადები
შეგვაქვს ხაზინაში და ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყ-
ვეტილი, რომ ერთი სანტიმი არ გაიზავნოს მოსკო-
ვისათვის.»

ფრანგულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს წერილი, ო-
მელიც ამ ერთი წლის წინად ფრანგ კომუნისტს ოპო-
ზიციონერს სუვარინს მიუწერია ტრცკისთვის. სუ-
ვარინის სიტყვით საფრანგეთის კომუნისტური პარ-
ტია სრულიად გაირყვნა, დალბა და ამის მთავარი
მიზეზია მოსკოვის სუბსიდიები. ბოლშევიკების წყა-
ლობით კომუნისტური მოძრაობა გადაიქცა იმთ
იარაღად, ვინც კასასთან ახლო დგას. ოპოზიციონე-
რებს ებრძვიან იმით, რომ აძლევენ შემოსავლიან
საფრანგეთის კომუნისტურმა აპარატმა შესჯამა 25
მილიონზე მეტი, ამაში საწევრო ფული მხოლოდ მე-
ოცედი თუა, დანარჩენი მოსკოვიდანაა მიღებული.
რაც მეტს ფულს იღებენ კომუნისტები რუსეთისა-
გან, ნით უფრო მცირდება პარტიულ წევრთა რიცხ-
ვი: «პარტია ცხოვრობს მხოლოდ საბჭოთა სახელმ-
წიფოს მკავებადით. ნამდვილი რევოლიუციონერე-
ბის ერთგულება და თავდადება საჭირო აღარაა მას
შემდეგ, რაც პარტიაში მოსამსახურენი და მომუშა-
ვენი ჯამაგირს იღებენ». სუვარინი აღნიშნავს, რომ
როცა გაზ. «კომანიტე» აგროვებს ფულს პარტიულ
ფონდისთვის, ნამდვილი შემოსავალი მაგალითად
უდრის 30 ათასს, გაზეთი კი აცხადებს 300 ათასი შე-
მოვიდაო. ფრანგმა სოციალისტებმა კარგად შეითვი-
სეს მოსკოველების ტყვილები. ასეთივე ამბებია
დღეს ევროპის ყველა სახელმწიფოში: კომუნისტუ-
რი პარტიები თუ არსებობენ, მხოლოდ და მხოლოდ
მოსკოვის მილიონების წყალობით.

ს ა ზ ე ი მ ო ს ა ლ ა მ ო .

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხა-
დების 10 წლის თავზე, ქართველთა ასოციაცია
საფრანგეთში მართავს 26 მაისს 20 ნახ. საათზე
სასტუმრო «მაქსტიკ»-ში საზეიმო საღამოს:
კონცერტი, ბუნდოვანი სურათები, ლექური-
გამოცემულია განსაკუთრებული პროგრამა
სახელმწიფო ღერბით და დროშებით.



შ ე კ ი დ ე რ უ ლ ე ბ ა .

საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. სახლგარეეთელ ბი-
ურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:

ო დ ე ნ კ უ რ ი დ ა ნ : ალ. ჭიჭინაძე 50 ფრანკი,
ქ. იმნიშვილი 50 ფრ., თ. ბეჟაური 50 ფრ.; თ. მუხა-
შარია 40 ფრ.; რ. ყიფიანი 30 ფრ., გ. ბარამიძე 30 ფრ.,
ვ. მარჯანიძე 30 ფრ., ს. სოზახვილი 30 ფრ.; ოცდა-
ხუთ-ოცდახუთი ფრანკი: გ. ბოლქვაძე, გ. წერეთელი,
დ. ხელოძე, მ. ხელოძე, აქვ. კვიციანი, გ. წიგნიანი,
ალ. მელქაძე, ი. გაბეხაძე, ს. ქლენტი, მამედ ჯინჭა-
რაძე; ოც-ოცი ფრანკი: X, ვ. ჩხიკვიანი, გ. ქეღვი-
ძე, ა. ვადაქორია, მ. მელუა, გ. ცინცაძე, დ. ქერქაძე,
ა. ზედგინიძე, ლ. ჭურღულაშვილი, ვ. ჭელიძე, ე. ლო-
მაძე, პ. ინჭირველი, კ. თაყაიშვილი, ვ. ჯაფარიძე,
ვ. ლაბაძე, ბერიძე, გ. ლლონტი, ს. ბლიაძე, ი. რუხაძე,
ა. ხომერიკი, ვ. თოთიბაძე, ვ. ჯაველიძე; თუთხმეტ-
თუთხმეტი ფრ.: ლ. ურუშაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ლაშ-
ქარაშვილი, გვეტაძე, აბულაძე, ს. ურუშაძე, დ. ხარი-
ჭაშვილი, დ. რევაზაშვილი, გ. ბარამიძე, თ. ირემიძე,
ლ. ხავთასი; ათ-ათი ფრ.: გ. ბერბიჭაშვილი, კ. ჩხაიძე,
ლ. ბაქრაძე, ვაშაძე, მ. ბარამიძე, გ. კახიანი; შავდია 5 ფრ.
ოდენკურის ქართ. ასოციაციის სალ-დან 100 ფრ.
ქარ. კოოპერატიული სასადილოს სალ. 100 ფრ.
ოდენკურის ს.-დ. პ. ორგანიზაციის სალ. 100 ფრ.
სულ 1,510 ფრანკი.

პ ა რ ი ზ ი დ ა ნ . ას-ასი ფრანკი: ნოე ქორდანი, 5.
ნ. რამიშვილი, ნ. ცინცაძე, ი. წერეთელი, ა. მეფარი-
შვილი, დ. სხირტლაძე; კ. ქავთარაძე 60 ფრ.; ორმოც-
დაათ-ორმოცდაათი ფრ.: ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი,
ვ. წულაძე, ი. სარჯველაძე, თ. ქართველიშვილი, ლ.
ბალანჩივაძე; ოცდახუთ-ოცდახუთი ფრ.: პ. სარჯვე-
ლაძე, დ. შარაშიძე, ქან მანია და ნ. ვარდოიანცები,
ვ. ტულუში, ი. ქარსელაძე; ოც-ოცი ფრ.: შ. ქარცი-
ვაძე, გ. წირქვაძე, გ. ნაცვლიშვილი, კ. ბარნოვი, ვ.
ჩაჩავა, ექ. თაყაიშვილი; თუთხმეტ-თუთხმეტი ფრ.:
ი. კოკია, ნ. იმნიშვილი, პ. მეხუჭლა, ი. თაყაიშვი-
ლი, ს. მენალარიშვილი; ათ-ათი ფრ.: ვ. ჩუბინიძე, ლ.
იმნაძე, ვ. ახვლედიანი, დ. ერქომაიშვილი, ყაზაიშვი-
ლი, ბ. წულაძე, კ. ჯაყელი, რ. არსენიძე, ს. წერეთელი,
გ. ერაძე, ე. ებრაღიძე; ლიპარტია 5. სულ 1,405 ფრ.

Redaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.